



გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

საქმე №18/353-16

6 თებერვალი, 2017 წელი

თბილისი

თავმჯდომარე: მია თეთრაული
მოსამართლეები: კახაბერ მაჭავარიანი
გერონტი კახეთელიძე

სხდომის მდივანი: ნანა უნდილაშვილი

სხდომის სახე: ღია სასამართლო სხდომა

ბრალდების მხარე:

პროკურორი: კონსტანტინე ცაცუა

დაცვის მხარე:

მსჯავრდებული: გ. ც. (პირადი ნომერი №XXXXXXXXXXXX), დაბადებული XXXX წლის XX ნოემბერს, საქართველოს მოქალაქე, ნასამართლობის მქონე, რეგისტრირებული: მ.-ს რაიონი, სოფელი მ., ფაქტობრივად მცხოვრები: თ., ა.-ს ქ. №X/X, ბინა №XX-ში.

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი, 236-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სასჯელი: დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით - თავისუფლების აღკვეთა 4(ოთხი) წლის ვადით.

ადვოკატი: ზ. ბ.

გამართლებული: გ. მ. (პირადი ნომერი №XXXXXXXXXXXX), დაბადებული XXXX წლის XX აგვისტოს, საქართველოს მოქალაქე, ნასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული: თ., თ.-ს ქ.№X, ბინა №XX-ში, ფაქტობრივად მცხოვრები: თ., დ. დ., მე-X მ/რაიონი, ქუჩაX-X, კორპუსი NX, ბინა №XX-ში.



კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,181-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ადვოკატი: დ. ი.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

მხარეთა პოზიცია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 თებერვლის განაჩენი, სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს მთავარი პროკურატურის შსს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა მილენა მითაიშვილმა და ითხოვა გ. ც.-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ასევე გამართლებულ გ. მ.-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 25,181-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; ასევე მსჯავრდებულ გ. ც.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ზ. ბ.-მ და ითხოვა მსჯავრდებულ გ. ც.-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 260-ე და 181-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშნვა.

გ. მ.-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

ბრალდების არსი:

გ. ც. 2015 წლის 4 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ასევე დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარი.

მასვე, 2015 წლის 21 მაისს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების ბუპრენორფინის და მარიხუანას უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

გ. ც.-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით 0,0236 გრამი ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი ფხვნილი, რასაც უკანონოდ ინახავდა პირადად.

2015 წლის 21 მაისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ქ. თ., ა.-ს ქ. №XX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული იქნა



გ. ც., რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა 0,0236 გრამი ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი ფხვნილი.

გ. ც.-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ქარხნული წესით დამზადებული 7,62 მმ კალიბრის ორლულიანი უხმო პისტოლეტი,

განკუთვნილი 7,62 მმ კალიბრის სპეციალური, უხმო ვაზნების „ПЗАМ“ (ЗМЕР) გასასროლად, რაც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის ორივე ლულიდან, ამ იარაღისთვის განკუთვნილი 2(ორი) ცალი ვაზნა და 1951 წლის ნიმუშის 9 მმ კალიბრის 1(ერთი) ცალი ვაზნა. მათ მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. თ., ა.-ს ქ. №X/X, ბინა XX-ში, საიდანაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა 2015 წლის 21 მაისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.

2015 წლის 22 აპრილს გ. ჯ.-ს დაუკავშირდა მისი ნაცნობი გ. ც. და მოსთხოვა გ. ჯ.-ს პირად ანგარიშზე ბიზნეს საქმიანობისთვის დარიცხული 15000 ლარიდან 10000 ლარის მისთვის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით.

გ. ჯ.-მ გ. ც.-ს არ მისცა ამ უკანასკნელის მიერ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით მოთხოვნილი 10000 ლარი. აღნიშნულის შემდეგ გ. ც. დაუკავშირდა გ. ჯ.-ს მეგობარს გ. მ.-ს, რომელსაც უთხრა დაკავშირებოდა გ. ჯ.-ს და გადაეცა მისი დანაპირები, რომ თუ მოთხოვნილ თანხას 10000 ლარს მას არ მიუტანდა, მას და მისი ოჯახის წევრებს შეექმნებოდათ საფრთხე.

გ. მ. დაეხმარა გ. ც.-ს, შეხვდა და შეხვედრის შემდეგ კვლავ ტელეფონზე არაერთხელ დაუკავშირდა გ. ჯ.-ს, რომელსაც გადასცა გ. ც.-ს დანაპირები, მუქარა მისი და მისი ოჯახის სიცოცხლის მოსპობის შესახებ, შეუქმნა რეალური მოლოდინი მუქარის შესრულებისა, რითაც შეეცადა ეიძულებინა გ. ჯ. გადაეხადა გ. ც.-სათვის ამ უკანასკნელის მოთხოვნილი 10000 ლარი.

გ. ჯ.-მ მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების რეალური შიში.

სასამართლომ დაადგინა:

გ. ც. 2015 წლის 4 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ასევე დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარი.

მასვე, 2015 წლის 21 მაისს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების ბუპრენორფინის და მარიხუანას უკანონოდ მოხმარების ფაქტი.



გ. ც.-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ქარხნული წესით დამზადებული 7,62 მმ კალიბრის ორლულიანი უხმო პისტოლეტი, განკუთვნილი 7,62 მმ კალიბრის სპეციალური, უხმო ვაზნების „ПЗАМ“ (ЗМЕЯ) გასასროლად, რაც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის ორივე ლულიდან; ამ იარაღისთვის განკუთვნილი 2(ორი) ცალი ვაზნა და 1951 წლის ნიმუშის 9 მმ კალიბრის 1(ერთი) ცალი ვაზნა. მათ მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. თ., ა.-ს ქ. №X/X, ბინა XX-ში, საიდანაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა 2015 წლის 21 მაისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.

2015 წლის 22 აპრილს გ. ჯ.-ს დაუკავშირდა მისი ნაცნობი გ. ც. და მოსთხოვა გ. ჯ.-ს პირად ანგარიშზე ბიზნეს საქმიანობისთვის დარიცხული 15000 ლარიდან 10000 ლარის მისთვის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით.

გ. ჯ.-მ გ. ც.-ს არ მისცა ამ უკანასკნელის მიერ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით მოთხოვნილი 10000 ლარი. აღნიშნულის შემდეგ გ. ც. დაუკავშირდა გ. ჯ.-ს მეგობარს გ. მ.-ს, რომელსაც უთხრა დაკავშირებოდა გ. ჯ.-ს და გადაეცა მისი დანაპირები, რომ თუ მოთხოვნილ თანხას 10000 ლარს მას არ მიუტანდა, მას და მისი ოჯახის წევრებს შეექმნებოდათ საფრთხე.

გ. მ. შეხვდა და ტელეფონზე დაუკავშირდა გ. ჯ.-ს, რომელსაც გადასცა გ. ც.-ს დანაპირები, მუქარა მისი და მისი ოჯახის სიცოცხლის მოსპობის შესახებ. გ. ჯ.-მ მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების რეალური შიში.

სასამართლომ დაადგინა, რომ გ. მ.-ს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ქმედების სამართლებრივი აღწერა:

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის განაჩენით გ. ც. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით და დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა - 2014 წლის 12 დეკემბრის განაჩენით დანიშნული და მოუხდელი ზომა - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც მსჯავრდებულს კვლავ ჩაეთვალა პირობით



და საბოლოოდ გ. ც.-ს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით;

მსჯავრდებულ გ. ც.-ს დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარი.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ც.-ს 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების, საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

2015 წლის 21 მაისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების №701XXXX დასკვნით დადგენილია, რომ გ. ც. კლინიკურად არ იმყოფება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების (თრობის) ქვეშ, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება - ბუპრენორფინის, ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანა) და ფსიქოტროპული ნივთიერება ბენზოდიაზეპინების ჯგუფის მოხმარების ფაქტი. აღნიშნული დასკვნის სისწორე დაადასტურა ექსპერტმა ე. ფ.-მ.

2015 წლის 21 მაისის გ. ც.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად შესასვლელი კარებიდან პირდაპირ მდებარე მისაღებ ოთახში, შუაში მდგარი მაგიდის ქვემოდან ამოღებულ იქნა ორი ცალი ბოთლი, ყავისფერი ნატეხებით, ერთი - „ბ.“ - 0,5 ლიტრიანი, მეორე ლუდი „34“-ის ერთლიტრიანი, რომელსაც ძირი აქვს გადაჭრილი. ამოღებული „ბ.“ - ს 0,5 ლიტრიანი ბოთლი და ლუდი „34“-ის ერთლიტრიანი ბოთლი შეიფუთა პოლიეთილენის პარკში და დაილუქა ლუქის ბეჭდით №19 (ერთ ფუთად). ლუქებზე გაკეთდა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეთა ხელმოწერები და დაისვა თარიღი.

მოწმეების: პ. ც.-ს, ა. კ.-ს, ვ. ლ.-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ 2015 წლის 21 მაისს გ. ც.-ს ბინის ჩხრეკისას მისაღებ ოთახში მდგარი მაგიდის ქვეშიდან ამოიღეს ორი ცალი პოლიეთილენის ბოთლი, ერთი ნახევარ ლიტრიანი, წარწერით „ბ.“ და მეორე ლიტრიანი წარწერით ოცდაათობმეტი, მასში მოთავსებული იყო მოყავისფრო ნივთიერებები. შედგა შესაბამისი ოქმი. ამოღებული ნივთები დაილუქა, გაკეთდა ხელმოწერები. აღნიშნულზე გ. ც.-ს მეუღლემაც მოაწერა ხელი.

2015 წლის 8 ივნისის ქიმიური ექსპერტიზის №XXX/სქ-XXX/ქრ დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, გ. ც.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული: - 0,5 ლ. მოლურჯო ფერის პოლიმერული მასალის ბოთლის (წარწერით: „ბ.“) შიდა კედლებზე და ოქროსფერ ფოლგის ნაჭერზე აღინიშნება ნარკოტიკული საშუალება



მცენარე კანაფისათვის დამახასიათებელი კანაბინოიდები (ტეტრაჰიდროკანაბინოლი, კანაბინოლი და კანაბიდიოლი) კვალის სახით, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების - კანაბინომიმეტურად მოქმედი ქიმიური ნაერთთა კლასის ნივთიერება AB-CHMINACA კვალი სახით და არანარკოტიკული, არაფსიქოტროპული და არაფსიქოაქტიური ნივთიერება ნიკოტინი კვალი სახით.

მოყავისფრო პოლიმერული მასალის ბოთლის გადანაჭერის (წარწერით: „ლუდი“) შიდა კედლებზე და პოლიეთილენის ნაჭრებზე აღინიშნება ნარკოტიკული საშუალება მცენარე კანაფისათვის დამახასიათებელი კანაბინოიდები (ტეტრაჰიდროკანაბინოლი, კანაბინოლი და კანაბიდიოლი) კვალის სახით, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების - კანაბინომიმეტურად მოქმედი ქიმიური ნაერთთა კლასის ნივთიერება AB-CHMINACA კვალი სახით და არანარკოტიკული, არაფსიქოტროპული და არაფსიქოაქტიური ნივთიერება ნიკოტინი კვალი სახით.

მოწმის, ექსპერტის თ. ნ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მის მიერ ჩატარებული იქნა ქიმიური ექსპერტიზა და გაიცა NXXX/სქ-XXX/ქრ დასკვნა. 2015 წლის 8 ივლისს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში შევიდა დადგენილება, დასმული იყო შეკითხვა, გ. ც.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებულ ბოთლებში იყო თუ არა რაიმე ნარკოტიკული საშუალების კვალი დადგენილებას თან ერთვოდა საკვლევი ობიექტები, დალუქული სახით. კვლევის შედეგადაც დაადგინა, რომ 0,5 ლ. მოლურჯო ფერის პოლიმერული მასალის ბოთლის შიდა კედლებზე და ოქროსფერ ფოლგის ნაჭერზე აღინიშნებოდა ნარკოტიკული საშუალება მცენარე კანაფისათვის დამახასიათებელი კანაბინოლის ზეთი, ტეტრაჰიდროკანაბინოლი, კანაბინოლი და კანაბიდიოლი კვალი სახით და აგრეთვე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების - ქიმიური ნაერთთა კლასის ნივთიერება AB-CHMINACA კვალი სახით, აგრეთვე არანარკოტიკული, არაფსიქოაქტიური ნივთიერება ნიკოტინი. მეორე ობიექტზე მოყავისფრო ბოთლის შიდა კედლებზე და პოლიეთილენის ნაჭრებზე აღინიშნებოდა ნარკოტიკული საშუალება მცენარე კანაფისათვის დამახასიათებელი კანაბინოიდები (ტეტრაჰიდროკანაბინოლი, კანაბინოლი და კანაბიდიოლის სახით, აგრეთვე, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების - ქიმიურ ნაერთთა კლასის ნივთიერება AB-CHMINACA კვალი სახით და არანარკოტიკული, არაფსიქოაქტიური ნივთიერება ნიკოტინის სახით. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ ნარკოტიკული საშუალება კანაფისათვის დამახასიათებელი კვალის ოდენობის განსაზღვრა შეუძლებელი იყო მისი მცირე რაოდენობის გამო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა:

მოწმე პ. ც.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ა. კ.-სთან და ვ. ლ.-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბრალდებულ გ. ც.-ს ბინის ჩხრეკაში, რომლის მისამართიც გახდა ცნობილი ც.-ს დაკავების შემდგომ. ბინაში მისვლისას დახვდათ მეუღლე ს. ს., რომელსაც წარუდგინეს დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ბინის ჩხრეკის თაობაზე,



რაზეც მან თანხმობა განაცხადა. ჩხრეკა დაიწყო შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს მდებარე საძინებელი ოთახიდან. ოთახში კარის უკან იატაკზე იდო შავი ფერის მამაკაცის ფეხსაცმელი ე.წ. „ბათინკი“, სადაც მოთავსებული იყო ცეცხლსასროლი იარაღი შავი ფერის ყავისფერი ტარით. იარაღში მოთავსებული იყო ორი ცალი ვაზნა. გვერდით მდგარ თაროზე იდო საფულე, რომელშიც იყო ერთი ცალი ვაზნა.

მოწმე ვ. ლ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 21 მაისს გამომძიებლებთან ა. კ.-სთან და პ. ც.-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო გ. ც.-ს ბინის ჩხრეკაში. კონკრეტული მისამართი ა.-ს ქ.X/X მათთვის ცნობილი გახდა სხვა ჯგუფისაგან, რომელთაც ც. უნდა დაეკავებინათ. ბინაში მისვლისას დახვდათ ქალბატონი, რომელმაც განუმარტა, რომ გ. ც. იყო მისი მეუღლე და აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდნენ მცირეწლოვან შვილთან ერთად. წარუდგინეს დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ბინის ჩხრეკის შესახებ. მან ჩხრეკის ჩატარებაზე განუცხადა თანხმობა იმ მოტივით, რომ მას სახლში არანაირი კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ ჰქონდა. პ. ც. ავსებდა ჩხრეკის ოქმს, ხოლო თავად და ა. კ.-მ დაიწყო ჩხრეკა. ჩხრეკისას საძინებელი ოთახის შესასვლელი კარების უკან მდებარე „ბათინკიდან“ მის მიერ ამოღებული იქნა ორლულიანი იარაღი. კომოდის ერთ-ერთ უჯრაში იდო ქალის ძველი საფულე, სადაც მოთავსებული იყო ერთ ცალი მაკაროვის ტყვია. მოწმის განმარტებით, იარაღი და მასრა დაილუქა გამომძიებლის მიერ, რაც ხელმოწერით დაადასტურეს. ჩხრეკის ოქმი შედგა ადგილზე და ჩხრეკის ყველა მონაწილემ დაადასტურა ხელმოწერით.

მოწმე ა. კ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მის კოლეგებთან: პ. ც.-სთან და ვ. ლ.-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო 2015 წლის 21 მაისს გ. ც.-ს ბინის ჩხრეკაში. ბინის მისამართი პ. ც.-ს მობილურ ტელეფონზე შეატყობინეს. მისამართზე მისვლისას ბინაში დახვდათ გ. ც.-ს მეუღლე და მისი მცირეწლოვანი შვილი. გ. ც.-ს მეუღლეს წარუდგინეს პირადობის მოწმობები, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, წარედგინა დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩხრეკის ჩატარების თაობაზე, რაც დაადასტურა ხელმოწერით. შემდგომ დაიწყო ბინის ჩხრეკა, რა დროსაც შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს მდებარე საძინებელი ოთახის კარის უკნიდან, უშუალოდ მის მიერ, შავი ფერის ფეხსაცმლიდან, ამოღებული იქნა შავი ფერის პისტოლეტის მსგავსი საგანი, ყავისფერი ტარით. იმავე ოთახიდან კარადის თაროდან საფულიდან ვ. ლ.-ს მიერ ამოღებული იქნა ერთი ცალი ტყვიის ვაზნა.

მოწმე ს. ს.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 21 მაისს იყო სამსახურში, როდესაც დაურეკეს და უთხრეს, რომ დააკავეს მისი მეუღლე გ. ც., რის შემდეგაც წავიდა სახლში. სახლის კართან დახვდა ორი ადამიანი, მათ უთხრეს, რომ უნდა ჩატარებულიყო ჩხრეკა. რაზეც განუმარტა, რომ დაელოდებოდა ადვოკატს. შემდეგ დაახლოებით ათი კაცი მივიდა, რომელთაც წარუდგინეს დადგენილება. შევიდნენ სახლში. დაიწყო ჩხრეკა. ჯერ შევიდნენ საძინებელში. ჩხრეკისას საფულიდან ამოიღეს ერთი ცალი ტყვია. შემდეგ



დაანახეს რაღაც პატარა იარაღი, რაზეც მან განუცხადა, რომ პირველად ხედავდა. მათ უთხრეს, რომ ეს იარაღი ფეხსაცმელში იპოვეს. შემდეგ როდესაც დიდ ოთახში შევიდა, დაინახა პოლიციის თანამშრომლებს ეჭირათ ჩვეულებრივი წყლის ბოთლები ხელში.

2015 წლის 21 მაისის გ. ც.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ჩხრეკა ჩატარდა ქ.თ., ა.-ს ქ. NX/X, ბ. XX-ში გ. ც.-ს საცხოვრებელ ბინაში მისი მეუღლის ს. ს.-ს თანდასწრებით. ჩხრეკის შედეგად ბინაში შესასვლელი კარებიდან მარჯვენა მხარეს მდებარე საძინებელ ოთახში, ოთახის შესასვლელი კარის უკან, იატაკზე დადებული მამაკაცის შავი ფერის ფეხსაცმლიდან (ე.წ. „ბათინკი“), ამოღებული იქნა მასში მოთავსებული შავი ფერის ცეცხლსასროლი პისტოლეტის მსგავსი საგანი, ყავისფერი ტარით, ქვედა მხარეს წარწერით- XXXXXX, მასში მოთავსებული ორი ცალი ვაზნით. ასევე იქვე გვერდით მდგარი კარადის თაროზე მოთავსებული საფულიდან ამოღებული იქნა ერთი ცალი ვაზნა. ცეცხლსასროლი პისტოლეტის მსგავსი საგანი და სამი ცალი ვაზნა, შეიფუთა პოლიეთილენის პარკში და დაილუქა ლუქის ბეჭდით №19 (ერთ ფუთად).

2015 წლის 22 მაისის ბალისტიკური ექსპერტიზის №XXX/ზ დასკვნით დადგენილია, რომ 1.2. ობიექტი №XXXXXX არის ქარხნული წესით დამზადებული 7,62 მმ. კალიბრის ორლულიანი უხმო პისტოლეტი განკუთვნილი 7,62 მმ კალიბრის სპეციალური, უხმო ვაზნების „ПЗАМ“ (ЗМЕЯ) გასასროლად. მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის ორივე ლულიდან. იარაღს კონსტრუქციული გადაკეთების ან დეტალების შეცვლის რაიმე კვალი არ აღენიშნება.

3. - ორი ცალი ვაზნა არის ქარხნული წესით დამზადებული, 7,62 მმ კალიბრის სპეციალური უხმო ვაზნა „ПЗАМ“ (ЗМЕЯ), განკუთვნილი შემდეგი პისტოლეტებისათვის: C4, C4M და სხვა. მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

- ერთი ცალი ვაზნა არის ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუში 9 მმ კალიბრის ვაზნა, განკუთვნილი მაკაროვის კონსტრუქციის პისტოლეტებისათვის „ПМ“ სტეჩკინის კონსტრუქციის ავტომატური პისტოლეტებისათვის „АПС“ და სხვა. იგი მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

ექსპერტის, გ. ე.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მის მიერ 2015 წლის 22 მაისს გაცემული იქნა ექსპერტის NXXX/ზ დასკვნა. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ფუთა გაიხსნა სამი ექსპერტის: თავად მისი, მ. ფ.-სა და ა. თ.-ს მონაწილეობით. როდესაც ფუთა გახსნეს, კვლევის დაწყების წინ იარაღის ლულიდან აღებული იქნა სინჯები ქიმიური კვლევისთვის. ფუთაში აღმოჩნდა პისტოლეტი, ორი ცალი ვაზნა, რომელიც ფორმით და ზომით ერთმანეთის ანალოგიური იყო და ერთი ცალი ვაზნა. კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ობიექტი, რომელსაც სახელურის ქვემოთ კორპუსზე აღენიშნებოდა წარწერა XXXXXX, არის ქარხნული წესით დამზადებული 7.62 კალიბრის ორლულიანი უხმო პისტოლეტი, განკუთვნილი 7.62 კალიბრის უხმო ვაზნების გასასროლად. იგი



ვარგისია ორივე ლულიდან გასროლისათვის. იარაღს კონსტრუქციული გადაკეთების ან დეტალის შეცვლის რაიმე კვალი არ აღენიშნებოდა. რაც შეეხება ორ ცალ ვაზნას, არის ქარხნული წესით დამზადებული 7,62 კალიბრის სპეციალური უხმო ვაზნა, რომელიც განკუთვნილია უხმო პისტოლეტებისათვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად. ერთი ცალი ვაზნა იყო 1951 წლის ნიმუშის ცხრა მილიმეტრი კალიბრის ვაზნა, რომელიც განკუთვნილი იყო მაკაროვისა და სტეჩკინის კონსტრუქციის პისტოლეტებისათვის, მიეკუთვნებოდა საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისი იყო გამოსაყენებლად.

2015 წლის 22 მაისის ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის №XXX/ამ დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ პისტოლეტს ჩარჩოზე (სახელურის ქვედა მხარეს) აღენიშნება ნომერი „XXXXXX“. აღნიშნულ ნომერს წაშლის ან გადაკეთების კვალი არ აღენიშნება. აღნიშნული დასკვნის სისწორე დაადასტურა ექსპერტმა ა. თ.-მ.

2015 წლის 22 მაისის ქიმიური ექსპერტიზის №XXX/რან დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე საკვლევად წარმოდგენილი პისტოლეტიდან, რომელზეც იკითხება: „XXXXXX“ ბოლო გაწმენდის შემდეგ გასროლა (გასროლები) არ შესრულებულა.

გამომალვა, ესე იგი სხვისი ნივთის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის და მისი ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა:

დაზარალებულის, გ. ჯ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მან 2013 წელს დააფუძნა შპს, რომლის დირექტორიც თავად იყო 100% წილით. მანამდე მუშაობდა ბანკში სამშენებლო სექტორის ექსპერტად. შეიძინა ორი თვითმცლელი, პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდა ა. მ.-სთან და სამშენებლო საქმიანობა დაიწყო ერთად. შემდგომ მათი ურთიერთობა გადავიდა სხვა ჭრილში, რის გამოც მასთან პარტნიორობას ვეღარ გააგრძელებდა. დაუკავშირდა ტელეფონზე და სთხოვა შეეწყვიტა მასთან ურთიერთობა. რამდენიმე დღის შემდეგ სთხოვა პირადად შეხვედრა, რაზეც ა.-ს უარი არ უთქვამს. როდესაც ა. მ. მივიდა მის სახლთან, მას ახლდა მისთვის უცნობი პიროვნება ი. ბ.. შეხვედრას შეესწრო დაზარალებულის მეზობელი გ. ა., რომელმაც ინიციატივა გამოთქვა, რომ დაესწროდა მათ საუბარს. ასევე მას ახლდა მისთვის უცნობი პიროვნება გ. ც. ი. ბ.-მ მასთან გამონახა საერთო ნაცნობი. დაზარალებულის ჩვენებით, ლაპარაკისას მან დააფიქსირა, რომ აღარ სურდა ა.-სთან პარტნიორული ურთიერთობა და ითხოვა ვალის დაბრუნება და „რ.-ს“ ტიპის ა/მანქანის ვალის დაფარვა. საერთო მეგობრების დამხარებით მარტივად შეთანხმდნენ ყველაფერზე. რამდენიმე დღის შემდეგ დაუკავშირდა გ. ა., რომელმაც სთხოვა შეხვედრა. როდესაც მას შეხვდა, გამოვლინდა ფაქტი, რომ ა. ითხოვდა სამი ერთად შეძენილი თვითმცლელის გაყოფას. საქმეში ჰყავდა ვინმე კანონიერი ქურდი და შეპირებული იყო, რომ ამ საქმიდან ათი ათას ლარს გადაუხდიდა. გ. ც.-მ გამოთქვა მეგობრული ინიციატივა, რომ ამ ყველაფერს მოაგვარებდა, არ ექნებოდა არანაირი



ა/მანქანები გასაყოფი და მის საკუთრებაში დარჩებოდა ყველაფერი, ოღონდ 10000 ლარის ნაცვლად უნდა გადაეხადა 5000 ლარი, როცა სამუშაო იქნებოდა. იმ მომენტში ვერ გაანალიზა სიტუაცია და არჩია 5000 ლარის გადახდა. გარდა ამისა, გ. ც. დაპირდა, რომ ა. ვალსაც დააბრუნებდა. ერთი თვის თავზე მას თერთმეტი ათასი ლარიდან მართლაც შეხვდა ნახევარი. დაზარალებულის ჩვენებით, იგი ხუთი ათას ლარს ვეღარ იხდიდა და სთხოვა გ. ც.-ს, შეეთანხმებინა ქურდულ სამყაროსთან, დაეკლოთ თანხა. შეთანხმდნენ ოთხი ათასი ლარის გადახდაზე შემდეგ თვეში და მის შემდეგ თვეშიც. ოქტომბერში არ იყო სამუშაოები, რაზეც საქმის კურსში ჩააყენა გ. ც. და მხოლოდ 2000 ლარის გადახდა შემლო. დაზარალებულის ჩვენებით, ერთ-ერთ მის მოვალე კომპანია „ბ.-ს“ მართებდა ოცდაათი ათასი ლარი, მას ჰქონდა ბანკში პრობლემები, სჭირდებოდა თანხა. მარტის თვეში დაუკავშირდა გ. ც.-ს, ჩააყენა საქმის კურსში. აპრილის თვეში იმყოფებოდა გ. მ.-სთან ერთად, როდესაც დაურეკეს და უთხრეს, რომ შპს „ბ.“ ჩაურიცხავდა 30000 ლარს, საიდანაც 10000 ლარი გ. ც.-სათვის უნდა მიეცა. მოხდა შპს „ბ.-დან“ დარიცხული თანხის მოთხოვნა, რაზეც განაცხადა უარი. მოწმემ განმარტა, რომ როდესაც თანხის დარიცხვა მოხდა, ბიზნესი უკვე მამამისზე ჰქონდა გადაფორმებული, თავად კი საქართველოდან წასვლას აპირებდა. შემდეგ განხორციელდა ზარი გ. მ.-სთან კიდევ ერთხელ, რომ აღნიშნული თანხა უნდა გადაეხადა, თორემ შეექმნებოდა პრობლემები. მან აღიქვა, რომ შეექმნებოდა სიცოცხლესთან დაკავშირებით პრობლემები, ვინაიდან გ. ც.-სათვის არაერთხელ შეუნიშნავს ცეცხლსასროლი იარაღი და აღიქვა მუქარა რეალურად. დაზარალებულის ჩვენებით, გ. მ. არის მისი მეგობარი, რომელსაც სრულად ენდობოდა, შეხვედრასთან დაკავშირებით ის იჩენდა ინიციატივას, რაზეც მას უარი არ უთქვამს. შეხვედრაზე დაფიქსირდა ინტერესი, რომ თანხა აუცილებლად უნდა გადაეხადა, თორემ შეექმნებოდა პრობლემები რეალურად. მიუხედავად ქვეყნის გარეთ მისი გასვლისა, რჩებოდა ოჯახი და შეიძლება მათთვის ეგნოთ. მოწმემ განმარტა, რომ გ. მ. მას ეხმარებოდა საქმიანობაში და იყო მისი ნდობით აღჭურვილი პირი. უწევდა ბიზნესს კონტროლს, რაშიც მისთვის ხელფასიც აქვს გადახდილი არაოფიციალურად. გ. ც.-ს კი არანაირი შეხება არ ჰქონია მის ბიზნესს საქმიანობასთან.

მოწმე გ. ჯ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წელს მისმა შვილმა -გ. ჯ.-მ ჩამოაყალიბა კომპანია. ლიზინგით იყიდა ორი „მ.“ თვითმცლელი და შემდეგ ოთხი ა/მანქანა. მისი შვილი ვისთან საქმიანობდა, მისთვის უცნობია. გარკვეული პერიოდის შემდგომ მეუღლემ უთხრა, რომ მის შვილს პრობლემები ჰქონდა. 15000 ლარი გამოსძალეს და კიდევ სძალავენ 10000 ლარსო. როგორც მან იცის, გ. ც.-ს მიერ ხდებოდა თანხის გამოძალვა და ყოველთვიურად მისი შვილი 4000 ლარს უხდიდა ც.-ს. ა/მანქანების გამო ჰქონდათ გაურკვეველობები, რის გამოც მომხდარა შეხვედრა და გ. ც.-ს უთქვამს, რომ მის შვილს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 4000 ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა მუქარები. გ. ც.-ს მიერ ხდებოდა ეს გამოძალვა და მისი შვილი - გ. ჯ. ყოველთვიურად უხდიდა ოთხი ათას ლარს. რაც შეეხება 10000 ლარის გადახდას, ნამდვილად იცის, რომ თანხა მუქარით იყო მოთხოვნილი. აღნიშნული ფული მას ჩაუტანეს კახეთში, რადგან არ



მომხდარიყო წართმევა. მასთან ერთადერთმა გ. მ.-მ ითხოვა ფულის მიცემა, რომელიც სასწრაფოდ უნდა მიეცა გ. ც.-სთვის. მოწმის ჩვენებით, გ. ც.-საგან გამოძალვა იმაში გამოიხატა, რომ ა/მანქანების პრობლემაზე საუბრისას (იქ ესწრებოდნენ გ. ჯ., გ. ც. და სხვა ვინ იყო არ იცის) გადაწყვიტეს, რომ ყოველთვიურად გ. ჯ.-ს ოთხი ათასი ლარი უნდა გადაეხადა, რამაც შეადგინა 15000 ლარი. კონკრეტულად თანხა ვინ გამოსძალა მის შვილს, არ იცის. იცის, რომ ეს თანხა გ. ც.-სთვის არის მიცემული. როცა დაიწყო გარკვევა რატომ უნდა მიეცათ ფული გ. ც.-სთვის, მის სახლში შედგა საუბარი, სადაც გ. ჯ.-სთან ერთად იყო გ. მ., მან პასუხად მიიღო, რომ უნდა და უნდა წაიღოს, თორემ ცუდი სიტუაცია იქნებაო. მან ასევე აღნიშნა, რომ გ. მ. მისი მეგობარი არ არის. ის არის მისი შვილის მეგობარი და როცა ორივეს ტელეფონზე ელაპარაკა და ჰკითხა რატომ იყო გადასახდელი ეს თანხა, მათგან პასუხი ვერ მიიღო.

მოწმე გ. დ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ აპრილის თვეში დაურეკა დეიდაშვილმა, რომელიც არის გ. ჯ.-ს დედა და უთხრა, რომ გ. ს. ჰქონდა პრობლემები. ფულის გადახდას სთხოვდნენ ბიზნესიდან გამომდინარე და სთხოვა გარკვეულიყო. შემდგომ გ. ჯ.-მ მოუყვა, რომ თავის ყოფილ პარტნიორთან ა.-სთან (მ.) ჰქონდა ბიზნეს საქმიანობა. ბიზნესთან დაკავშირებით ვერ გაერკვნენ წილი გ. ს. ეკუთვნოდა თუ ა.-ს. მოხდა გარჩევები თანხების გადანაწილებასთან დაკავშირებით. ვინაიდან გ. ს. სახელზე იყო და გ. ს. ეკუთვნოდა, მოხდა უცხო პიროვნებების ჩართვა და ითხოვდნენ იმ თანხებს, რომელიც გ. ს. არ ჰქონდა გადასახდელი. კონკრეტულად თანხას ითხოვდა გ. ც.. 2015 წლის 22-23 აპრილი იქნებოდა, როდესაც მიდიოდნენ თ.-ში. მოწმის ჩვენებით, მის კუთვნილ მობილური ტელეფონის ნომერზე XXX XX XX XX განხორციელდა ზარი, რომელსაც უპასუხა გ. ჯ.-მ. საუბარი ჰქონდათ 15000 ლარზე, რა დროსაც გ. ეუბნებოდა, რომ მას არ ეკუთვნოდა ეს თანხა. მის მიერ გამორთმეული იქნა მობილური ტელეფონი და უთხრა, რომ იყო მისი ნომერი და მეორედ არ დაერეკა. თვითონ გამოელაპარაკა ტელეფონზე მოსაუბრეს, რომელმაც უთხრა, რომ იყო გ. ც. და სადაც უნდოდა და როდესაც უნდოდა, დარეკავდა. გ. ჯ.-ს ჰკითხა, რა თანხაზე იყო საუბარი, რაზეც მან განუმარტა, რომ ეს თანხა 15000 ლარი გ. ც.-ს არ ეკუთვნოდა. ეს იყო მისი ერთი ბიზნესიდან გამომდინარე უშავებელი თანხა. მოწმემ ასევე განმარტა, რომ გ. ც. იმიტომ სთხოვდა აღნიშნულ ფულს გ. ჯ.-ს, რომ გამოძალვა უნდოდა და ემუქრებოდა სიცოცხლესთან დაკავშირებით. გ. ჯ.-სა და გ. მ.-ს ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა. გ. ჯ.-ს მართვის მოწმობა არ ჰქონდა, საჭესთან ეჯდა გ. მ. და ერთად მოძრაობდნენ ხან ქალაქში, ხან ქალაქგარეთ. გ. მ. გ. ჯ.-სთან მუშაობდა თუ არა, არ იცის. მოწმის ჩვენებით, გ. ჯ. გ. მ.-ს ხელფასს უხდიდა იქიდან გამომდინარე, რომ იყვნენ მეგობრები. გ. მ. რაიმე ფულს ითხოვდა თუ არა მისთვის, ან აცხადებდა თუ არა, რომ რაიმე თანხა მას ეკუთვნოდა, ასეთი რამ მისთვის ცნობილი არ არის. გ. მ. ლაპარაკობდა გ. ც.-ს სახელით.

მოწმე გ. რ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს შსს ცენტრალურ კრიმინალურ დეპარტამენტში. 2015 წლის 23 აპრილს განცხადებით მიმართა მოქალაქე გ. ჯ.-მ მის



მიმართ თანხების გამოძალვის ფაქტზე და ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება. დაიკითხა გ. ჯ., მისი მამა და ბიძა. სასამართლოდან აღებული იქნა განჩინებები ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების თაობაზე გ. ჯ.-ს, მისი ოჯახის წევრების, გ. ც.-სა და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების მიმართ. აღნიშნული განჩინებების საფუძველზე განხორციელდა რამდენიმე ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა, რაც დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. პროკურორის მიერ სასამართლოდან აღებული იქნა განჩინებები გ. ც.-სა და გ. მ.-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის თაობაზე. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ გ. ც. 2015 წლის 21 მაისს უნდა ყოფილიყო ა.-ს ქ. XX-ე კორპუსთან, სადაც მას სავარაუდოდ უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება. შეიქმნა ჯგუფი მისი, ა. შ.-ს და ბ. გ.-ს შემადგენლობით. მივიდნენ აბაშიძის ქუჩაზე. მათ არ ეცვათ პოლიციის ფორმები. ფიზიკურად გ. ც.-ს არ იცნობდნენ და პიროვნების შესწავლა მათი მხრიდან მოხდა ფოტოსურათით. ვინაიდან უნდა მოეპებნათ გ. ც., მათ პიროვნება ფოტოსურათიდან კარგად ჰყავდათ შესწავლილი. საცხოვრებელი კორპუსის კუთხესთან შენიშნეს პიროვნება, ვინაობის დადასტურების შემდეგ მოსამართლის განჩინების საფუძველზე მოხდა გ. ც.-ს დაკავება. დაკავების მომენტში გ. ც.-მ გაუწიათ წინააღმდეგობა, იქნევდა ხელ-ფეხს, ყვიროდა გაურკვეველად. აღნიშნულის გამო იგი ძალის გამოყენებით მიიყვანეს ა/მანქანასთან, დაადეს ხელბორკილები და ჩასვეს ა/მანქანაში, სადაც ა. შ.-ს მიერ შარვლის წინა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებული იქნა შავი ფერის ფოლგის ქაღალდი, რომელშიც მოთავსებული იყო ვერცხლისფერი ფოლგის ქაღალდი და მასში მოთავსებული იყო თეთრი ფერის ფხვნილი. გამომძიებელ ბ. გ.-ს მიერ კი შარვლის მარცხენა ჯიბიდან ამოღებული იქნა მობილური ტელეფონი სიმ ბარათით. აღნიშნული ნივთები დაილუქა შესაბამისი წესით. შემდეგ გ. ც. გადაყვანილი იქნა შსს ადმინისტრაციულ შენობაში, დაკავების ოქმი დაადასტურა უფლებამოსილმა პირმა. ამის შემდეგ კი გ. ც. გადაიყვანეს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, რა დროსაც დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინისა და ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანა) მოხმარების ფაქტი. ამოღებულ მოთეთრო ფერის ნივთიერებასთან დაკავშირებით დაინიშნა ქიმიური ექსპერტიზა. გ. ც.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული იქნა ორლულიანი იარაღი, პოლიეთილენის ბოთლი, რომელზეც დაფიქსირდა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ე.წ ბიოს კვალი, რომლის ოდენობის განსაზღვრაც ვერ მოხერხდა შესადარი ნიმუშის არქონის გამო. მოწმემ ასევე განმარტა, რომ დაკავებისას გ. ც.-მ მათ წინააღმდეგობა გაუწია, ავტომანქანის კარებთან მიყვანისას მას დაადეს ხელბორკილები, ჩასვეს ავტომანქანაში და ავტომანქანაში ჩაატარეს მისი პირადი ჩხრეკა, რა დროსაც თავად ბრალდებული იჯდა შუაში, მარცხენა და მარჯვენა მხრიდან ისხდნენ მისი თანმხლები პოლიციის თანამშრომლები, ხოლო თავად იჯდა ავტომანქანის წინა სავარძელზე და ავსებდა შესაბამის ოქმს. მოწმის ჩვენებით, გ. ც.-ს არანაირი პროტესტი არ განუცხადებია, არ დაუფიქსირებია შესაბამის გრაფაში. ა/მანქანაში მოთავსების შემდგომ, მას შემდეგ, რაც მას წარუდგინეს განჩინება, გ. ც.-მ წინააღმდეგობა შეწყვიტა. მოწმემ ასევე განმარტა, რომ მათთვის ცნობილი იყო, რომ გ. ც. კვირაში სამჯერ



დადიოდა პრობაციის ბიუროში, თუმცა მისი დაკავების მომენტისათვის მისი საცხოვრებელი ადგილი მათთვის ცნობილი არ იყო.

მოწმე ბ. გ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მათ სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება გ. ჯ.-ს მიმართ ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემული იყო სასამართლოს განჩინება გ. მ.-ს და გ. ც.-ს დაკავების და პირადი ჩხრეკის თაობაზე. 2015 წლის 21 მაისს დაიგეგმა, რომ შესრულებულიყო აღნიშნული განჩინებები. კონკრეტულად სამ კაციან ჯგუფს მას, ა. შ.-ს და გ. რ.-ს დაევალია წასულიყვნენ გ. ც.-ს დასაკავებლად და ჩაეტარებინათ პირადი ჩხრეკა. მოიძიეს მისი სურათი, რათა იგი ეცნოთ ვიზუალურად. სამსახურის ა/მანქანით მივიდნენ ა.-ს ქ. XX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა მოეძებნათ აღნიშნული პიროვნება. 5-10 წუთის ძებნის შემდეგ კორპუსებთან შეამჩნიეს გ. ც., წარუდგინეს სამსახურებრივი მოწმობები. განუმარტეს, რომ იგი დაკავებული იყო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, რასაც იგი არ დაეთანხმა და გამოხატა პროტესტი ხელების ქნევით და ყვირილით. აღნიშნულის გამო იძულებულნი გახდნენ, რომ იგი ფიზიკური ძალის გამოყენებით დაემორჩილებინათ. გ. ც.-ს დაადეს ხელბორკილები, ჩასვეს ა/მანქანაში, რომელიც იყო გაჩერებული 10-15 მეტრის მანძილზე. წარუდგინეს მოსამართლის მიერ გაცემული განჩინებები მისი დაკავებისა და პირადი ჩხრეკის თაობაზე.

მოწმე ა. შ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოში დაიწყო გამოძიება გ. ჯ.-ს მიმართ გამოძალვის ფაქტზე. წარუდგინეს მოსამართლის განჩინება გ. მ.-სა და გ. ც.-ს დაკავების თაობაზე. შეიქმნა ჯგუფი მისი, ბ. გ.-ს და გ. რ.-ს შემადგენლობით და დაევალია გ. ც.-ს დაკავება. ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია, რომ იგი უნდა ყოფილიყო ვაკეში, ა.-ს ქ. XX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. წავიდნენ აღნიშნულ მისამართზე სამოქალაქო ფორმებით, ვინაიდან საფრთხე არსებობდა, რომ მათი დანახვისას გ. ც. შეიძლებოდა მიმალულიყო. ლომბართან ახლოს გააჩერეს ავტომანქანა, სადაც შეამჩნიეს გ. ც.. მიუახლოვდნენ, წარუდგინეს, რომ იყვნენ საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები. გ. ც.-მ შეიცხადა და წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ა. შ.-მ და ბ. გ.-მ მოკიდეს ხელი, რ. ცდილობდა განემარტა უფლებები და წაეკითხა განჩინება, მაგრამ გ. ც. წინააღმდეგობას უწევდათ, ხელებს და ფეხებს იქნევდა. ის მიიყვანეს ა/მანქანამდე, სადაც დაადეს ხელბორკილები, ძალის გამოყენებით ჩასვეს ა/მანქანაში. გამომძიებელმა უთხრა, რომ მოსამართლის განჩინების საფუძველზე გამოძალვის ფაქტზე ის უნდა დაეკავებინათ და ჩაეტარებინათ პირადი ჩხრეკა.

2015 წლის 28 ივლისის ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №XXX/3ბ დასკვნით დგინდება, რომ სს №009230415XXX საქმეზე გამოკვლევაზე წარმოდგენილ №12 ფოტოსურათზე დაფიქსირებული გ. ჯ.-ს გამოსახულება და №14 ფოტოსურათზე დაფიქსირებული გ. მ.-ს გამოსახულება, პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისია;



სს №009230415004 საქმესთან დაკავშირებით, გამოკვლევაზე წარმოდგენილ დისკზე არსებული ვიდეოგრამიდან ამოღებული ფოტოსურათებიდან ამოღებული გამოსახულება №29 და №30, რომლებიც გაწმენდილია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, პიროვნების იდენტიფიკაციისათვის პირობითად ვარგისია და ვიდეოგრამის დაბალი ხარისხის გამო პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისი ფოტოსურათების მიღება/ამოღება შეუძლებელია.

გამოკვლევაზე წარმოდგენილი ვიდეოგრამებიდან ამოღებულ №20, №21, №25, №26, №27, №28 ფოტოსურათებზე დაფიქსირებული საკვლევი პიროვნებების გამოსახულება პიროვნების იდენტიფიკაციისათვის უვარგისია.

გამოკვლევაზე წარმოდგენილ №1 პაკეტში მოთავსებულ №1 დისკზე არსებული ვიდეოგრამიდან სახელწოდებით: „Rec1_0001“ 00:17:17 სთ-ზე ამოღებულ ფოტოსურათზე და №12 ფოტოსურათზე დაფიქსირებული გ. ჯ.-ს გამოსახულებაზე დაფიქსირებულია სავარაუდოდ ერთიდაიგივე პიროვნება.

გამოკვლევაზე წარმოდგენილ №1 პაკეტში მოთავსებულ №1 დისკზე არსებული ვიდეოგრამიდან სახელწოდებით: „Rec1_0001“ 00:17:10 სთ-ზე ამოღებული ფოტოსურათზე და №14 ფოტოსურათზე დაფიქსირებული გ. მ.-ს გამოსახულებაზე დაფიქსირებულია სავარაუდოდ ერთიდაიგივე პიროვნება.

ვინაიდან, გ. ც.-ს და გ. გ.-ს ფოტონიმუშები გამოკვლევაზე წარმოდგენილი არ არის, შეუძლებელია დადგინდეს ვიდეოგრამებზე არიან თუ არა ისინი დაფიქსირებული.

2015 წლის 26 ოქტომბრის ფონოსკოპიური ექსპერტიზის №XXX/ფ დასკვნით დგინდება, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი აუდიო და ვიდეოგრამები ვარგისია პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ხმისა და მეტყველების მიხედვით.

ჩატარებული კომპლექსური ანალიზის შედეგად გამოსაკვლევად შესულ აუდიოგრამებზე და ვიდეოგრამებზე მონტაჟის ნიშნები არ აღინიშნება.

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ სადავო ფონოგრამებში (Rec_0001.avi, Rec1_0002.avi, Rec1_0001.avi II, Rec1_0002.avi II, 1398175041) მონაწილე დიქტორი მამაკაცის ხმა და მეტყველება და „გ. ჯ.-ს ხმის ნიმუში“-ს ფონოგრამიდან გ. ჯ.-ს ხმა და მეტყველება ერთმანეთის იდენტურია.

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ სადავო ფონოგრამაში (1398156337) მონაწილე დიქტორი მამაკაცის ხმა და მეტყველება და „გ. გ.-ს ხმის ნიმუში“-ს ფონოგრამიდან გ. გ.-ს ხმა და მეტყველება ერთმანეთის იდენტურია.

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ სადავო ფონოგრამებში (Rec1_0001.avi, Rec1_0002.avi, 1398178437, 1398180520, 1398180609, 1398196958) მონაწილე დიქტორი მამაკაცის ხმა და მეტყველება და „გ. მ.-ს ხმის ნიმუში“-ს ფონოგრამიდან გ. მ.-ს ხმა და მეტყველება ერთმანეთის იდენტურია.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილ სადავო ფონოგრამებზე საიდენტიფიკაციო კვლევების ჩატარება გ. ც.-ს ხმისა და მეტყველების მიხედვით ვერ ხერხდება, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებს მათ ხელთ არსებულ მეთოდულ მიზნებს საჭირო მოთხოვნას:



ჩანაწერები ვერ აკმაყოფილებს საიდენტიფიკაციოდ ვარგისიანობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას - რეპრეზენტატულობას. ჩანაწერის რეპრეზენტატულობა მთავარი პირობაა პიროვნების საიდენტიფიკაციოდ ხმისა და მეტყველების მიხედვით. ჩანაწერი არ არის რეპრეზენტატული, ანუ არ გააჩნია დამაკმაყოფილებელი ხანგრძლივობა პიროვნების თავისუფალი მეტყველების ჩანაწერისა.

ექსპერტ ე. კ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 16 ივნისს ექსპერტიზის ჩასატარებლად წარმოდგენილი იყო 11 ცალი პაკეტი, საიდანაც ორი ცალი გამოსახულების ფოტონიმში გადაეცა სხვა განყოფილებას, დანარჩენი ცხრა პაკეტი კი, სადაც აუდიო და ვიდეო ჩანაწერები იყო, გამოიკვლიეს. კონკრეტულად მან ჩაატარა ექსპერტიზა ჩანაწერებში მონტაჟის ნიშნების არსებობა-არარსებობის შესახებ და მიუთითა, რომ წარმოდგენილი ჩანაწერები არ წარმოადგენდა მონტაჟს, მასში არ იყო ისეთი ცვლილება შეტანილი, რომ სავარაუდოდ ყოფილიყო რაიმე ხარვეზი. შემდეგ ჩაატარეს ტექნიკური ინდენტიფიკაცია ანუ ლინგვისტ ექსპერტთან ერთად მუშაობს ასევე ტექნიკური მხარე, რომლითაც დგინდება კონკრეტული პიროვნების იდენტურობა ან არაიდენტურობა, ამ შემთხვევაში ჩაატარეს გ. ც.-ზე, რაზეც არ ეყობა სიტყვათა მარაგი, არ იყო იმდენად მრავალფეროვანი მასალა, რომ წარმოდგენილ ხმის ნიმუშზე შეედარებინათ. დასკვნის გაცემის შემდგომ გამოსაკვლევი ობიექტი დაილუქა, ნაწილი ექსპერტიზის დამნიშნელ მხარეს გადაეცა, ხოლო ნაწილი გადაეცა ჰაბიდოსკოპიურ განყოფილებას.

ექსპერტ ა. ჩ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 16 ივნისს ჩაატარა ლინგვისტური კვლევა გ. მ.-ს, გ. გ.-ს, გ. ჯ.-ს და გ. ც.-ს პიროვნებების იდენტიფიკაციისათვის. შემოსულ სადავო ფონოგრამებზე, აუდიო ჩანაწერებზე, სატელეფონო საუბრებზე და ვიდეოგრამებზე შეადარა პიროვნებები ხმებისა და მეტყველების მიხედვით, სადაც სადაო ფონოგრამაში სამი ხმის ნიმუში დაემთხვა ერთმანეთს. ექსპერტმა კატეგორიულად დაადასტურა, რომ შესადარებელ ნიმუშში, ნამდვილად გ. მ. საუბრობს, რაც შეეხება გ. ც.-ს, გ. ც.-ზე ვერ ჩატარდა ექსპერტიზა, რადგან არ იყო საკვლევი ობიექტისთვის საკმარისი ლექსიკური მარაგი. ყველა მასალა, დაწყებული ბგერებით, გაგრძელებული ფონეტიკური პროცესებით, წინადადებების წყობა, მორფოლოგიური შეცდომები, ნებისმიერი სალიტერატურო გადახრა სალიტერატურო ნორმებიდან, რაც არის დამახასიათებელი პიროვნების მეტყველებისთვის, ლექსიკა, არ იყო საკმარისი, რომ ჩაეტარებინა კვლევა.

მოწმე ლ. მ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. ჯ.-ს იცნობს ერთ წელზე მეტია, მასთან მუშაობდა სატვირთო ა/მანქანაზე მძღოლად. ანაზღაურება ჰქონდა 1200 ლარი. სამი თვე იმუშავა, საიდანაც ერთი თვის გასამრჯელო მიღებული არ აქვს. გ. მ.-ს იცნობს. როდესაც გ. ჯ.-სთან ერთად მივიდა და ა/მანქანა წაიყვანეს, რომლითაც ის დადიოდა სამსახურში, გ. ჯ.-მ უთხრა, რომ იგი აღარ იყო საჭირო, გ. მ. იყო მისი ნათესავი და მას აიყვანდა სამსახურში. მოწმის ჩვენებით, გ. ჯ.-მ სხვა მძღოლებთან ერთად გ. მ.-საც არ გადაუხდა გასამრჯელო. გ. ც. იყო გ. ჯ.-ს ძმაცავი, რომელიც მათთან ერთად იყო სვანეთში, როცა



სასრიალო ტრასა კეთდებოდა. იგი გ. ჯ.-ს სთხოვდა მის კუთვნილ ხელფასს, თუმცა გ. ჯ. მას დაემუქრა, რა ხელფასს ითხოვდა, მას სხვანაირად დაელაპარაკებოდა.

მოწმე ზ. ზ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. მ.-ს და გ. ჯ.-ს იცნობს. მუშაობს ავტოზეტების მალაზიაში ხელოსნად. მასთან დადიოდნენ გ. ჯ. და გ. მ. და მიჰქონდათ ზეთები ნისიად. შემდეგ უფროსობამ აუკრძალა, რომ გ. ჯ.-სათვის ნისიად აღარ გაეტანებინა საქონელი, თუმცა როდესაც გ. მ. მივიდა, მისი უფროსის ნებართვით მან მისცა აღნიშნული საქონელი. მოწმემ განმარტა, რომ არ იცის ნისიად აღებული საქონლის თანხები გადახდილი აქვს თუ არა გ. ჯ.-ს, ვინაიდან მას ფულთან შეხება არ ჰქონია.

მოწმე გ. მ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. ჯ. და გ. მ. არიან მისი ბავშვობის მეგობრები. მისი ავტოსერვისი გ. ჯ.-ს ა/მანქანებს ამარაგებდა. გ.-ს მის კომპანიასთან ურთიერთობაშიც დოკუმენტები დაულაგებელი ჰქონდა. არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ გ. მ.-სთანაც ხელშეკრულება გაფორმებული არ ჰქონოდა და ისე ჰყავდა დასაქმებული „ე. ა. დ. გ.-ში“. მისი მოვალეობა იყო მძღოლების და ა/მანქანების კონტროლი, გ. ჯ.-ს ხელფასი ყოველთვიურად უნდა გადაერიცხა 600-800 ლარი. მოწმის ჩვენებით, მას გ. ჯ. თვის ბოლოს თანხებს არ ურიცხავდა, რაზეც პრობლემა ექნებოდა და გაწყვიტა მასთან ურთიერთობა. გ. მ.-ს თხოვნით აღადგინა მასთან ურთიერთობა. ჰქონდა შემთხვევა, როცა მის ავტოსერვისში მივიდნენ გ. ჯ.-ს მძღოლები ხელფასის ჩარიცხვის მოთხოვნით, რასაც გ. მ. ანეიტრალეზდა. დროს წელავდა, რომ გ. ჯ.-ს თანხები მოემიებინა მძღოლებზე მისაცემად. ასევე მისთვის ცნობილია, რომ გ. ჯ.-ს გ. მ.-სათვის ბოლო სამი თვის თანხა საერთოდ არ აქვს გადახდილი. როდესაც გ.-ს ჰკითხა, რატომ არ უხდიდა, მან განუმარტა, რომ აჭარიდან რაც ჩამოვიდა, საქმე არ აუღია და ფული არ ჰქონდა, რომ გადაეხადა. მისთვის ასევე ცნობილია, რომ გ. მ. ითხოვდა თავის ფულს, მაგრამ მაინც თავს იკავებდა, ეცოდებოდა, რადგან პრობლემები ჰქონდა. როდესაც დააკვეს გ. მ. იგი ესაუბრა გ. ჯ.-ს, რომელმაც უთხრა, რომ გ. მ. არაფერ შუაში არ არის, უბრალოდ რას ელაპარაკებოდა ც.-სო.

მოწმე გ. ა.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. ჯ. და გ. ც. იყვნენ მისი მეგობრები და მათი გაცნობა მოხდა მისი მეშვეობით. გ. ჯ.-ს ბიზნეს საქმიანობა ჰქონდა დაწყებული, ჰყავდა სატვირთო ა/მანქანები. ერთ დღეს მათ შორის შედგა საუბარი, რომ ა/მანქანები სვანეთში ჰყავდა გაშვებული, იყო ძალიან დიდი მუშაობა. ერთი ა/მანქანა ჰყავდა გაფუჭებული, რომელსაც ვერ აკეთებდა ფულის არ ქონის გამო, ჩამოთვალა ნაწილები, რაც ა/მანქანის შესაკეთებლად უნდოდა. აღნიშნული საუბრის შემდეგ გ. ჯ.-სთან და გ. ც.-სთან ერთად წავიდა ტოტალიზატორში. მან დადო ფული, სადაც მოიგო 2000 ლარი. გაუჩნდა სურვილი, რომ ფული მიეცათ გ. ჯ.-სათვის ა/მანქანის გასაკეთებლად. სახლში მას ედო კიდევ 2000 ლარი, ასევე გ. ც.-ც დადო 2000 ლარი და სულ მათ მისცეს გ. ჯ.-ს 6000 ლარი. ამის შემდეგ გ. ჯ.-მ უთხრა, რომ უკვე ბიზნეს პარტნიორები იყვნენ. აღნიშნული თანხით მან შეაკეთა ავტომანქანა. გ. ჯ.-მ ფული რომ აიღო, მათ უთხრა, რომ გაისტუმრებდა ლიზინგის თანხას და შემდეგ თვეში რაც დარჩებოდა მოგება, სამ კაცზე გაიყოფდნენ. აგვისტოს თვეში მათ



აიღეს ორ-ორი ათასი ლარი, ოქტომბრის თვეშიც 2000-2000 ლარი შეხვდათ მას და გ. ც.-ს. საახალწლოდ შეხვდათ ათას-ათასი ლარი. მარტის თვეში გ. ჯ. მივიდა მასთან და უთხრა, რომ საიტზე ნახა ავსტრალიაში ა/მანქანებზე ფასდაკლებები იყო და უთხრა, რომ იგი თავის ბინას ჩადებდა, ხოლო მას თავისი ფართი ჩაედო. მან აუხსნა, რომ ფართი არ იყო მის სახელზე და დედამის დალაპარაკებოდნენ. ვინაიდან აღნიშნული რისკებთან იყო დაკავშირებული, დედამისის თხოვნით წავიდნენ ბანკში კონსულტაციისათვის, სადაც ჩამოაწერინეს რისკები. რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ გ. ჯ.-მ უთხრა, რომ მისი სახლი აღარ იღება ბანკში და მარტო მისი ფართი ჩაედოთ. შემდეგ ისე მოხდა, რომ დედამისმა უარი განაცხადა აღნიშნულზე, არსებული დიდი რისკების გამო. მას შემდეგ გ. ჯ. აღარ უნახავს, ტელეფონით უკავშირდებოდა ხოლმე. გ. ჯ.-ს მასთან ურთიერთობაში ბევრჯერ აქვს ნათქვამი, რომ ბევრი ვალები ჰქონდა. ა/მანქანის ნაწილები და ზეთიც კი ვალად ჰქონდა აღებული.

მოწმე ც. ა.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. ც. და მისი ვაჟი - გ. ა. არიან სკოლის ამხანაგები. გ. ჯ. და გ. მ. მისი მეზობლები არიან. 2014 წლის აგვისტოში მასთან მივიდნენ მისი შვილი - გ. ა. და გ. ჯ. და უთხრეს, რომ ბიზნეს იწყებდნენ. გასული წლის აღდგომის წინა დღეს კი მისმა შვილმა და გ. ჯ.-მ სთხოვეს, რომ მისი ფართი დაეტვირთა იპოთეკით, ვინაიდან ბიზნესის გაფართოვება უნდოდათ, სიდნეიდან „კამაზების“ ჩამოყვანა უნდოდათ და ამისთვის ფული სჭირდებოდათ. მან უთხრა, რომ ეს ადვილი გადასაწყვეტი არ იყო, მივიდნენ „თ. ბ.-ში“ პრობლემური სესხების განყოფილების უფროსთან ამ საკითხზე სასაუბროდ, რა დროსაც მან უთხრა, რომ ეს დიდი რისკებს შეიცავდა, რის გამოც მან შეიკავა თავი და არ დატვირთა იპოთეკით მისი კუთვნილი ფართი. თანაც ეჭვი შეეპარა გ. ჯ.-ს მოქმედებებში. მან ასევე იცის, რომ მისმა შვილმა და გ. ც.-მ გ. ჯ.-ს გადასცეს თანხები: მისმა შვილმა 4000 ლარი, ხოლო გ. ც.-მ 2000 ლარი და როგორც უთხრეს, გახდნენ ბიზნეს პარტნიორები. ეს 6000 ლარი გადასცეს იმის გამო, რომ ერთ-ერთი ავტომანქანა „კ.“ გაფუჭდა და რემონტი ესაჭიროებოდა. გაარემონტეს ამ 6000 ლარით ეს ავტომანქანა და ჩაუშვეს საქმეში. ეს სატვირთო რომ გაარემონტეს, სანამ ზამთარი დადგებოდა, მისი შვილი გ. ა. ამ საქმიანობიდან იღებდა მოგებას. საქმეში ერთად იყვნენ გ. ც., მისი შვილი გ. ა. და გ. ჯ., თუმცა ეს ურთიერთობა ოფიციალურად გაფორმებული არ იყო, ეს იყო მეგობრული შეთანხმება, თუმცა გ. ჯ. მას ეუბნებოდა, რომ მისი შვილი მისი მოადგილე უნდა გამხდარიყო და თავად მას ეუბნებოდა, რომ ბიზნესს გააფართოვებდნენ.

გ. მ.-მ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში განმარტა, რომ დაახლოებით 2014 წლის დეკემბრამდე დაუკავშირდა გ. ჯ. და სთხოვა შეხვედრა, რათა მასთან დაეწყო მუშაობა. ხელფასი ექნებოდა 900 ლარი და მოუწევდა ქობულეთში წასვლა. შეხვედრისას გ. ჯ.-მ გააცნო გ. ც., რომელზეც უთხრა, რომ იყო მისი ბიზნესპარტნიორი. გ. ც.-სთან ხშირად ადიოდნენ. გ. ჯ. გ. ც.-ს გარეშე არაფერს არ აკეთებდა. გადაწყვეტილებას მის გარეშე არ იღებდა. ერთ-ერთი საუბრების დროს, როდესაც ისინი გ. ც.-სთან იყვნენ, გ. ჯ.-მ უთხრა, რომ დაერიცხებოდა ფული, აიღებდა ამ თანხას, მასაც გაისტუმრებდა და თვითონაც



დარჩებოდა ფული, რომ ა/მანქანები მწყობრში მოეყვანა და ნორმალურად ემუშავა. აქედან გამომდინარე იცოდა, რომ გ. ჯ.-ს გ. ც.-ს ვალი ჰქონდა. დაახლოებით აპრილის ბოლოს მას დაუკავშირდა გ. ც. და უთხრა, რომ ფული ჩაერიცხა გ. ჯ.-ს, გადაეცა მისთვის, რომ მისი ვალი გადაეხადა. იგი მივიდა ჯავახიშვილთან და უთხრა, რომ ვალი გადაეხადა გ.-სთვის, რაზეც გ. ჯ.-მ უპასუხა, რომ ახლა ვერაფერს ვერ გადაუხდოდა. მან გ. ჯ.-ს უთხრა, რომ მას თავად გაერკვია, როგორ და რას მისცემდა გ. ც.-ს, „მე ეს მითხრა და იცოდეთ“. პერიოდულად გ. ჯ.-ს ეხმიანებოდა და ეკითხებოდა დაურეკა თუ არა გ. ც.-ს, რაზეც მან უპასუხა, რომ დაურეკა, ელაპარაკა და მას მამამისი გადაურიცხავდა თანხას. შემდგომ საღამოს ისევ დაურეკა გ. ჯ.-ს და მან უთხრა, რომ თანხას ვერ ურიცხავდა, რაზეც დაუკავშირდა გ. ჯ.-ს მამას და უთხრა, რომ ნუ აყენებდა უხერხულ მდგომარეობაში და თვითონ გაერკვიათ სიტუაცია. ამის შემდგომ დაახლოებით ერთ კვირაში დაურეკა გ. ჯ.-მ და უთხრა, რომ მამამისი მიდიოდა თბილისში საჩივრელად და დაერეკა გ. ც.-სთვის და ეთქვა ამის შესახებ. მან შეატყობინა გ. ც.-ს და უთხრა, რომ გ. მიდიოდა თბილისში საჩივრელად, რაზეც გ. ც.-მ უთხრა, რომ მისი ვალი ჰქონდა და როგორ უნდა ეჩივლა. როგორც მისთვის ცნობილია, მუხიანის ობიექტებზე ამუშავა გ. ჯ.-მ თავისი ა/მანქანები და იქიდან უნდა მიეცა გ. ც.-სათვის 15000 ლარი. გ. მ.-ს ჩვენებით, გ. ჯ.-ს უამრავი ვალი ჰქონდა. ყველა მაღაზიაში, სადაც თვითმცლელის ნაწილები იყიდებოდა, ვალი ჰქონდა. ჰქონდა ასევე მძღოლების და ხელოსნების ვალიც, რომელთაც ხშირად ემალებოდა. ასევე ჰქონდა მისი ვალიც 1100 ლარი და როდესაც ურეკავდა მობილურზე, სთხოვდა სმს სახით მიეწერა, რაზეც გ. ჯ. შეტყობინებებით პასუხობდა, რომ მას ფული არ ეკუთვნოდა. მისი თქმით, მიუხედავად ვალისა, არასდროს არ განუხორციელებია გ. ჯ.-ზე მუქარა, პირიქით იგი ეუბნებოდა ქალაქში ნუ დადიოდა, რადგან ათასი მევალე ჰყავდა.

გ. ც.-მ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში განმარტა, რომ 2015 წლის 21 მაისს 11 საათზე გამოვიდა სახლიდან, სადაც შეხვდა ა. შ. სამ პიროვნებასთან ერთად. ის წავიდა ა.-ს XX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დააკავეს. შემდგომ მივიდნენ ა. შ. და დაახლოებით კიდევ 12 კაცი, სულ მცირე 6 ა/მანქანა იყო და დაუწყეს ჭიდაობა, ცემა და ჩატენეს ა/მანქანაში. ვერ მიხვდა კრიმინალები იყვნენ თუ პოლიციელები, რადგან ფორმა არ ეცვათ. დასახმარებლად ემახდა მაღაზიის გამყიდველ ლ.-ს. გზაში უთხრეს, რომ პოლიციელები იყვნენ, იგი ყვიროდა, რომ რაღაცას უდებდნენ. ჩასვეს ა/მანქანაში. შემდეგ ერთ-ერთმა შავი პარკი ამოიღო და უთხრა, ეს შენიაო, რაზეც მან უპასუხა, რომ მისი არ იყო და არც იცოდა რა იყო საერთოდ. მისი თქმით 40 წუთი იქ იყო. მათ ხმა არ ამოუღიათ, მერე შიგნითვე დაადეს ბორკილები, მიაწოდეს დალუქული რაღაც, რაზეც ხელი არ მოაწერა. ამის მერე გადაიყვანეს პოლიციის შენობაში, სადაც დაახლოებით 15 პოლიციელი დახვდა. შემდეგ მივიდა ერთ-ერთი პოლიციელი, რომელიც გაეცნო პოლიციის დეპარტამენტის უფროსად და უთხრა, რომ მისი ბინის ჩხრეკაზე იყვნენ წასულები და იარაღი იყო ამოღებული. ასევე ანახა სურათი, რაზეც მან უთხრა, რომ იარაღი მისი იყო, მაგრამ ნარკოტიკული საშუალება პოლიციელებმა ჩაუდეს. აღნიშნულზე ამ პოლიციის თანამშრომელმა უპასუხა, „რა ვიცოდი, თუ სახლში იარაღს გააჩერებდი, თორემ წამალი არ



გეყენებოდაო“. გ. ც.-ს ჩვენებით, მას არ დაუნახავს ცელოფნის პარკში შიგნით რა ფერის ნივთიერება იყო, ან იყო თუ არა რაიმე. მხოლოდ შავი ცელოფანი დაანახეს. შემდეგ უთხრეს, რომ მომჩივანი ყავდა 181-ე მუხლით და ჰკითხეს იცნობდა თუ არა ამ პიროვნებას. მან უთხრა, რომ იცნობდა, მისი ბიზნეს პარტნიორი იყო. შემდეგ შეკითხვები უკვე გ.-ზე დაუსვეს, რომელიც მისი ბიზნეს პარტნიორი იყო და მისი საქციელი თვითონაც უკვირდა. მისი აზრით, გ. ჯ.-ს საჩივარი ალბათ პოლიციამ დააწერინა, რადგან მათ უნდოდათ ძალიან მისი დაკავება. რაც შეეხება გ. მ.-ს, იგი 24 საათი გ. ჯ.-ს სამსახურში იყო. როგორც ახსოვს დაახლოებით 6-7 თვე ფულიც კი არ ჰქონდა გადახდილი და მაინც პატიოსნად ემსახურებოდა. იგი 6000 ლარით დაეხმარა გ. ჯ.-ს ა/მანქანის გარემონტებაში, ასევე მეუღლეზე აქვს 10000 ლარიანი კრედიტი გაკეთებული და ეს თანხა მთლიანად აქვს გ.-სათვის მიცემული. მისი თქმით, მას წილობრივი მონაწილეობა ჰქონდა გ.-ს შპს-ში, მაგრამ ოფიციალურად არ იყო გაფორმებული და ერთადერთი, ბუნდოვანი ამ საქმეში სწორედ ეგ არის. გ. ც.-ს ჩვენებით, მუხიანის ობიექტზე საქმიანობისას მუშაობდა მისი ავტომანქანა და ეს 10000 ლარი, რასაც იგი ითხოვდა გ. ჯ.-სგან, მას იქიდან ეკუთვნოდა. ამასთან, გ. ც.-მ ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ მისი სახლიდან ამოღებული ძველებური იარაღი ნამდვილად მისი იყო. ასევე ნარკოტიკული საშუალება ნამდვილად მოხმარებული ჰქონდა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ შპს F. G. ე. გ.-ს დირექტორი და 100% წილის მფლობელია გ. ჯ. აღნიშნული გარემოება ასევე დადასტურებულია წესდებით/პატნიორთა შეთანხმებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის.

2015 წლის 25 აპრილის დათვალიერების ოქმით დგინდება, რომ საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს ძალადობრივ დანაშაულთა გამომძიების განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელმა გ. ბ.-მ ჩაატარა მოწმის გ. ჯ.-ს მიერ წარმოდგენილი შავი ფერის „აიფონ-5“ მოდელის მობილური ტელეფონის, იმეი კოდით XXXXXXXXXXXXXXXX დათვალიერება, რომელიც დათვალიერდა მის სამუშაო ოთახში. დათვალიერებისას მობილური ტელეფონის მენიუდან შედიან მოკლე ტექსტური შეტყობინების ველში, სადაც 2015 წლის 24 აპრილს 17:43 საათზე შესულია მოკლე ტექსტური შეტყობინება ტელეფონის ნომრიდან +995 XXX-XX-XX-XX, ლათინური ასოებით, დიალოგი შემდეგი ტექსტით: ცოცხალი ხარ?

18:20 სთ. პასუხი: რავი კი ცოცხალი ვარ, შენსკენ რა ხდება?

18:23სთ. +995 XXX-XX-XX-XX: არაფერი სად ხარ როგორ არის ბაბუაშენი?

18:24 სთ, პასუხი: ცუდად არი

18:27 სთ. +995 XXX-XX-XX-XX: შენ სად ხარ?

18:28 სთ. პასუხი: ხვალ ჩამოვალ

18:39 სთ. +995 XXX-XX-XX-XX მნახე რა ტატოსთან საქმე მაქ და შენთანაც.



25.04.15წ 11:58 სთ, ჩამოხვედი?

ასევე შესულია მოკლე ტექსტური შეტყობინება ტელეფონის ნომრიდან: +995 XXX-XX-XX-XX, დიალოგით:

I'll call laTer, მიპასუხე დროზე, XXX-XX-XX-XX -ზე დარეკე.

მობილური ტელეფონის მენიუდან შედიან შემომავალი გამავალი ზარების ნუსხაში, სადაც ფიქსირდება 2015 წლის 24 აპრილის შემდეგი სახის სატელეფონო ზარები:

ოთხი უპასუხო ზარი: +995 XXXXXXXXXXX

ერთი უპასუხო ზარი: + 995 XXXXXXXXXXX

ორი შემომავალი ზარი +995 XXXXXXXXXXX

ერთი უპასუხო ზარი: +995 XXXXXXXXXXX

უპასუხო ზარი: +995 XXXXXXXXXXX

გამავალი ზარი: XXXXXXXXXXX

შემომავალი ზარი: +995 XXXXXXXXXXX

ამით დასრულდა დათვალიერება. დათვალიერების შემდგომ მობილური ტელეფონი დაუბრუნდა მის მფლობელს გ. ჯ.-ს.

გ. ც.-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხული ბრალდება ასევე დადასტურებულია ფარული საგამომიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით, კრებსებით.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექენა, შენახვა, ჩადენილი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ნასამართლვეი პირის მიერ:

მოწმე გ. რ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს შსს ცენტრალურ კრიმინალურ დეპარტამენტში. 2015 წლის 23 აპრილს განცხადებით მიმართა მოქალაქე გ. ჯ.-მ მის მიმართ თანხების გამოძალვის ფაქტზე და ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება. სასამართლოდან აღებული იქნა განჩინებები ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელების თაობაზე გ. ჯ.-ს, მისი ოჯახის წევრების, გ. ც.-სა და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების მიმართ. აღნიშნული განჩინებების საფუძველზე განხორციელდა რამდენიმე ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა, რაც დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. პროკურორის მიერ სასამართლოდან აღებული იქნა განჩინებები გ. ც.-სა და გ. მ.-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის თაობაზე. ფარული საგამომიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ გ. ც. 2015 წლის 21 მაისს უნდა ყოფილიყო ა.-ს ქ. XX-ე კორპუსთან, სადაც მას სავარაუდოდ უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება. შეიქმნა ჯგუფი მისი, ა. შ.-ს და ბ. გ.-ს შემადგენლობით. მივიდნენ ა.-ს ქუჩაზე. მათ არ ეცვათ პოლიციის ფორმები. ფიზიკურად გ. ც.-ს არ იცნობდნენ და პიროვნების შესწავლა მათი მხრიდან მოხდა ფოტოსურათით. ვინაიდან უნდა მოეძებნათ გ. ც., მათ პიროვნება ფოტოსურათიდან კარგად ჰყავდათ შესწავლილი. საცხოვრებელი კორპუსის კუთხესთან შენიშნეს პიროვნება, ვინაობის დადასტურების შემდეგ მოსამართლის



განჩინების საფუძველზე მოხდა გ. ც.-ს დაკავება. დაკავების მომენტში გ.ც.-მ გაუწიათ წინააღმდეგობა, იქნევდა ხელ-ფეხს, ყვიროდა გაურკვეველად. აღნიშნულის გამო იგი ძალის გამოყენებით მიიყვანეს მანქანასთან, დაადეს ხელბორკილები და ჩასვეს მანქანაში, სადაც ა. შ.-ს მიერ შარვლის წინა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებული იქნა შავი ფერის ფოლგის ქაღალდი, რომელშიც მოთავსებული იყო ვერცხლისფერი ფოლგის ქაღალდი და მასში მოთავსებული იყო თეთრი ფერის ფხვნილი. გამომძიებელ ბ. გ.-ს მიერ კი შარვლის მარცხენა ჯიბიდან ამოღებული იქნა მობილური ტელეფონი სიმ ბარათით. აღნიშნული ნივთები დაილუქა შესაბამისი წესით. აღნიშნულის შემდეგ გ. ც. გადაყვანილი იქნა შსს ადმინისტრაციულ შენობაში, დაკავების ოქმი დაადასტურა უფლებამოსილმა პირმა. ამის შემდეგ კი გ. ც. გადაყვანილი იქნა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, რა დროსაც დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინისა და ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანა) მოხმარების ფაქტი. ამოღებულ მოთეთრო ფერის ნივთიერებასთან დაკავშირებით დანიშნული იქნა ქიმიური ექსპერტიზა. გ. ც.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული იქნა პოლიეთილენის ბოთლი, რომელზეც დაფიქსირდა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ე.წ ბიოს კვალი, რომლის ოდენობის განსაზღვრაც ვერ მოხერხდა შესადარი ნიმუშის არქონის გამო. მოწმემ ასევე განმარტა, რომ დაკავებისას გ. ც.-მ მათ წინააღმდეგობა გაუწია, ავტომანქანის კარებთან მიყვანისას მას დაადეს ხელბორკილები, ჩასვეს ავტომანქანაში და ავტომანქანაში ჩაატარეს მისი პირადი ჩხრეკა, რა დროსაც თავად ბრალდებული იჯდა შუაში, მარცხენა და მარჯვენა მხრიდან ისხდნენ მისი თანმხლები პოლიციის თანამშრომლები, ხოლო თავად იჯდა ავტომანქანის წინა სავარძელზე და ავსებდა შესაბამის ოქმს. მოწმის ჩვენებით, გ. ც.-ს არანაირი პროტესტი არ განუცხადებია, არ დაუფიქსირებია შესაბამის გრაფაში. ა/მანქანაში მოთავსების შემდგომ, მას შემდეგ, რაც მას წარუდგინეს განჩინება, გ. ც.-მ წინააღმდეგობა შეწყვიტა. მოწმემ ასევე განმარტა, რომ მათთვის ცნობილი იყო, რომ გ. ც. კვირაში სამჯერ დადიოდა პრობაციის ბიუროში, თუმცა მისი დაკავების მომენტისათვის მისი საცხოვრებელი ადგილი მათთვის ცნობილი არ იყო.

მოწმე ბ. გ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მათ სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება გ. ჯ.-ს მიმართ ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემული იყო სასამართლოს განჩინება გ. მ.-ს და გ. ც.-ს დაკავების და პირადი ჩხრეკის თაობაზე. 2015 წლის 21 მაისს დაიგეგმა, რომ შესრულებულიყო აღნიშნული განჩინებები. კონკრეტულად სამ კაციან ჯგუფს მას, ა. შ.-ს და გ. რ.-ს დაევაალათ წასულიყვნენ გ. ც.-ს დასაკავებლად და ჩაეტარებინათ პირადი ჩხრეკა. მოიძიეს მისი სურათი, რათა იგი ეცნოთ ვიზუალურად. სამსახურის მანქანით მივიდნენ აბაშიძის ქ. 50-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა მოეძებნათ აღნიშნული პიროვნება. 5-10 წუთის ძებნის შემდეგ კორპუსებთან შეამჩნიეს გ. ც., წარუდგინეს სამსახურებრივი მოწმობები. განუმარტეს, რომ იგი დაკავებული იყო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, რასაც იგი არ დაეთანხმა და გამოხატა პროტესტი ხელების ქნევით და ყვირილით. აღნიშნულის გამო იძულებულნი გახდნენ, რომ იგი ფიზიკური ძალის გამოყენებით დაემორჩილებინათ. გ. ც.-ს დაადეს



ხელბორკილები, ჩასვეს ა/მანქანაში, რომელიც იყო გაჩერებული 10-15 მეტრის მანძილზე. წარუდგინეს მოსამართლის მიერ გაცემული განჩინებები მისი დაკავებისა და პირადი ჩხრეკის თაობაზე. გ. ც.-ს პირადი ჩხრეკა ჩატარდა ავტომანქანაში, უკანა მხარეს შუაში იჯდა გ. ც., მარჯვენა მხარეს ალექსანდრე შეყელაძე, ხოლო მარცხენა მხარეს თავად. გამომძიებელი რ. იჯდა წინა მხარეს. მარცხენა მხარეს თავად მოახდინა მისი გასინჯვა, რადროსაც მის მიერ ამოღებული იქნა „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, ა. შ.-ს მიერ კი ფოლგის ქალაქში შეხვეული მოთეთრო ფერის ნივთიერება. მოწმის ჩვენებით, პირადი ჩხრეკის ჩატარებისას გ. ც.-ს ედო ხელბორკილები. დაკავებისას მან გაუწიათ წინააღმდეგობა, თუმცა ავტომანქანაში ჩაჯდომის შემდეგ იგი დამშვიდდა და წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. გ. ც. ზოგადად გამოთქვამდა პროტესტს და არაფერში არ ეთანხმებოდა. მათ არ ეცვათ პოლიციის ფორმები, თუმცა შემდგომ გამომძიებელმა ჩაიცვა ფორმა, რადგან ხალხი ინტერესს გამოთქვამდა და დაენახათ, რომ პოლიცია მუშაობდა.

მოწმე ა. შ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოში დაიწყო გამოძიება გ. ჯ.-ს მიმართ გამოძალვის ფაქტზე. წარუდგინეს მოსამართლის განჩინება გ. მ.-სა და გ. ც.-ს დაკავების თაობაზე. შეიქმნა ჯგუფი მისი, ბ. გ.-ს და გ. რ.-ს შემადგენლობით და დაევალებათ გ. ც.-ს დაკავება. ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია, რომ იგი უნდა ყოფილიყო ვაკეში, ა.-ს ქ. XX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. წავიდნენ აღნიშნულ მისამართზე სამოქალაქო ფორმებით, ვინაიდან საფრთხე არსებობდა, რომ მათი დანახვისას გ. ც. შეიძლებოდა მიმალულიყო. ლომბარდთან ახლოს გააჩერეს ავტომანქანა, სადაც შეამჩნიეს გ. ც.. მიუახლოვდნენ, წარუდგინეს, რომ იყვნენ საგამომძიებო ორგანოს თანამშრომლები. გ. ც.-მ შეიცხადა და წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ა. შ.-მ და ბ. გ.-მ მოკიდეს ხელი, რ. ცდილობდა განემარტა უფლებები და წაეკითხა განჩინება, მაგრამ გ. ც. წინააღმდეგობას უწევდათ, ხელებს და ფეხებს იქნევდა. ის მიიყვანეს მანქანამდე, სადაც დაადეს ხელბორკილები, ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში. გამომძიებელმა უთხრა, რომ მოსამართლის განჩინების საფუძველზე გამოძალვის ფაქტზე ის უნდა დაეკავებინათ და ჩაეტარებინათ პირადი ჩხრეკა. პირადი ჩხრეკა დაიწყო მანქანაში და ცდილობდნენ მაქსიმალურად ოპერატიულად გაეჩხრიკათ, ვინაიდან ჰქონდათ ინფორმაცია, რომ შეიძლებოდა ჰქონოდა იარაღი, დანა ან სხვა ნივთი. გ. ც.-ს პირადი ჩხრეკისას მისი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოღებული იქნა შავ ქალაქში გახვეული ვერცხლისფერ ფოლგაში მოთავსებული თეთრი ფხვნილი, სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც დაილუქა. ბ. გ.-ს მიერ კი ამოღებული იქნა მობილური ტელეფონი, რომელიც დაზიანებული იყო და დაილუქა. როდესაც დაამთავრეს ჩხრეკა, შედგა დაკავების ოქმი, გ. ც.-მ არც ერთ ოქმზე ხელი არ მოაწერა, რაზეც ოქმი შედგინა გამომძიებელმა. გ. ც.-ს პირადი ჩხრეკის ოქმი შედგა ავტომანქანაში გამომძიებლის მიერ. გ. ც.-ს პირადი ჩხრეკა ჩატარდა ავტომანქანაში, დამჯდარ მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, შუაში იჯდა გ. ც., მის გვერდით იჯდა თავად, ხოლო დაკავებულის მეორე მხარეს მისი თანამშრომელი. მოწმემ ადვოკატის შეკითხვაზე, უთხრათ თუ არა მათ გ. ც.-მ, რომ ნარკოტიკული



საშუალება მას ჩაუდეს პოლიციის თანამშრომლებმა, დაადასტურა აღნიშნული და განაცხადა, რომ „ყველა დაკავებული ასე ამბობს და ესეც ასე იმახდაო“.

2015 წლის 21 მაისის გ. ც.-ს პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ჯინსის შარვლის წინა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებული იქნა შავი ფერის ფოლგის ქაღალდი, რომელშიც მოთავსებულია ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული მოთეთრო ფერის ფხვნილი, შარვლის გარეთა მარჯვენა ჯიბიდან ამოღებული იქნა „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, რომელსაც აღნიშნება დაზიანება, ჩარჩოზე იმეი კოდით XXXXXXXXXXXXXXXX, რომელშიც მოთავსებულია „მაგთიკომის“ სიმბარათი, რომელზეც იკითხება ნომერი XXXXXXXXXXXXXXXX. ფოლგის ქაღალდში გახვეული მოთეთრო ფერის ფხვნილი დაილუქა ერთ პაკეტად #19 ლუქით. ლუქზე გაკეთდა ხელმოწერები და თარიღი, ასევე ამოღებული მობილური ტელეფონი სიმბარათთან ერთად დაილუქა ერთ პაკეტად №19 ლუქით. ლუქზე გაკეთდა ხელმოწერები და დაისვა თარიღი და საქმის ნომერი. ოქმზე დაფიქსირებულია შენიშვნა, რომ გ. ც. გაეცნო პირადი ჩხრეკის ოქმს პირადად, ოქმზე ხელმოწერაზე და ასლის ჩაბარებაზე უარი განაცხადა, რისი მიზეზიც არ განუმარტავს.

2015 წლის 21 მაისის ბრალდებულ გ. ც.-ს დაკავების ოქმით დადგენილია, რომ გ. ც. დაკავებული იქნა 2015 წლის 21 მაისს 12:20 საათზე ქ.თ., ა.-ს ქ.#XX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაკავებისას დაკავებულმა გაწია წინააღმდეგობა, იქნევდა ხელებს და ფეხებს და ყვიროდა გაურკვეველად. ოქმზე დაფიქსირებულია შენიშვნა, რომ გ. ც.-მ ოქმის გაცნობის შემდეგ უარი განაცხადა ოქმზე ხელის მოწერაზე და ასლის ჩაბარებაზე, რისი მიზეზიც არ განუმარტავს.

2015 წლის 22 მაისის ქიმიური ექსპერტიზის №XXX/სქ-XXX/ქრ დასკვნით დადგენილია, რომ გ. ც.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული, ვერცხლისფერ ქაღალდის ნაჭერში გახვეული მოთეთრო ნივთიერება, წონით 1,1835 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება ბუპრენორფინს, წონით 0,0236 გრამს და არანარკოტიკულ და არაფსიქოტროპულ შემავსებელ ნივთიერებებს.

ექსპერტ ს. ც.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გამომძიებელ გ. რ.-ს დადგენილების საფუძველზე 2015 წლის 22 მაისს ჩაატარა ქიმიური ექსპერტიზა, ბრალდებულ გ. ც.-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებულ მოთეთრო ფერის ფხვნილზე. აღნიშნული ნივთიერება იყო მათ წინაშე წარმოდგენილი იყო შეფუთული სახით, ფხვნილის სახით, ლუქის მთლიანობა დარღვეული არ ყოფილა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გ. ც.-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული მოთეთრო ფერის ნივთიერება, წონით 1,1835 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას, წონით 0,0326 გრამს, ხოლო დანარჩენი იყო არანარკოტიკული მინარევი. აღნიშნული ნივთიერება მას გადმოეცა ინსტრუმენტალური ანალიზისათვის.



ექსპერტ თ. უ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იყო პოლიეთილენის პაკეტი დალუქული სახით, რომელზეც იკითხებოდა ხელნაწერი გ. ც.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება. ლუქზე აღინიშნებოდა გაურკვეველი ხელმოწერები. ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ დაადგინა, რომ წარმოდგენილი მოთეთრო ნივთიერება, წონით 1,1835 გრამი შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალებას, წონით 0,0236 გრამს.

2015 წლის 22 ივნისის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სასამართლო ექსპერტიზისა და კრიმინალისტიკის სამეცნიერო-სასწავლო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის გ. დ.-ს №XXX/XX დასკვნით დადგენილია, რომ ვერცხლის და შავი ფერის უსწორო გვერდებიანი ფოლგის ნაგლეჯებზე თითის კვალი არ აღმოჩნდა. ვერცხლის და შავი ფერის უსწორო გვერდებიანი ფოლგის ნაგლეჯებზე ორივე მხარეს შესაძლებელია დარჩენილი ყოფილიყო კვლევისათვის ვარგისი ხელის კვალი.

მოწმე გ. დ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მის მიერ ჩატარებული იქნა ექსპერტიზა, რომელიც დანიშნული იქნა ადვოკატ ზ. ბ.-ს მიერ. ექსპერტმა დაადასტურა მის მიერ გაცემული დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ ექსპერტიზაზე გამომძიებელმა წარუდგინა შეფუთული პაკეტი, სადაც იყო ნარკოტიკული საშუალება. მის მიერ უნდა დადგენილიყო, ამოღებულ პაკეტზე იყო თუ არა თითის ანაბეჭდები, დადებით შემთხვევაში ეკუთვნოდა თუ არა ისინი გ. ც.-ს და შესაძლებელი იყო თუ არა შეხებისას მასზე კვლევისათვის ვარგისი ანაბეჭდის კვალი დარჩენილიყო. მის მიერ გაცემული იქნა სამივე შეკითხვაზე პასუხი. ვერცხლისფერ და შავი ფერის უსწორო გვერდებიანი ფოლგის ნაგლეჯზე თითის კვალი არ აღმოჩნდა. უსწორო გვერდებიანი ფოლგის ნაგლეჯზე ორივე მხარეს შესაძლებელია დარჩენილიყო კვლევისათვის ვარგისი თითის ანაბეჭდები. ფოლგა ისეთი მასალაა ცალ მხარეს ალუმინის, ხოლო მეორე მხარეს ქაღალდის ფენა, სადაც შეხებისას დარჩებოდა ვარგისი კვალი. მოწმემ განმარტა, რომ თუ ადამიანს აცვია ხელთათმანი და არის სიცივე, ასეთ შემთხვევაში მის წინაშე წარდგენილ მასალაზე არ დარჩებოდა ანაბეჭდის კვალი, თუ ჩვეულებრივ შიშველი ხელი მოკიდა ადამიანმა, კვალი აუცილებლად დარჩებოდა. იგი გაეცნო ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებს, იქ მართო ქიმიური დამუშავება მოხდა, ფოლგაზე არავითარი მანიპულაცია არ ჩატარებულა. ფოლგის გახსნა არ ნიშნავს ანაბეჭდის დაკარგვას, თუ მისი გაწმენდა არ მოხდა, ანაბეჭდი არ დაიკარგებოდა. არსებობს კიდევ ერთი ნიუანსი, სად იდო ეს ნივთმტკიცება, თუ ედო ჯიბეში, რომელიც ოფლიანდება, მთლიანად ხდება ოფლით გაჟღენთვა, ანაბეჭდი ქრება, ფხვნილი ეკრობა და არ ჩანს ანაბეჭდი. ექსპერტის ხელთათმანი კვალს ვერ წაშლიდა, მაგრამ ხელს, შეხებას ცხომოვან მასასთან, შეეძლო ანაბეჭდი წაეშალა, დარჩებოდა მხოლოდ ცხომოვანი მასა და ანაბეჭდის სახე არ ექნებოდა. ასეთი ცხომოვანი მასა არსებობდა წარმოდგენილ ნივთმტკიცებაზე.



მოწმე ს. დ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ა.-ს ქ. XX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღაზიაში. 2015 წლის 21 მაისს დაახლოებით 12 საათისათვის იყო მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე და ესაუბრებოდა თავის ნაცნობებს, რა დროსაც შემოესმა ყვირილი, ვიღაც ითხოვდა შველას. დაინახა, რომ ვიღაც ბიჭს ტენიდნენ „ბ.-ს“ მარკის ავტომანქანაში. მან ვერ გაიგო ვინ იყვნენ და რა ხდებოდა, ატეხეს ყვირილი, რომ პოლიციას დაუძახებდნენ, რა დროსაც ა/მანქანის საბარგულიდან ამოიღეს პოლიციის ჟილეტები და შემდეგ მოიცვეს. ძალიან ბევრი პოლიციის თანამშრომლები იყვნენ. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში დაკავებული პიროვნება ა/მანქანაში უკან იჯდა, სამნი ისხდნენ უკან, უხერხულ მდგომარეობაში. ბორკილები ედო თუ არა, მას არ დაუნახავს, ვინაიდან ზურგიდან ხედავდა.

მოწმე თ. ს.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 21 მაისს მუშაობდა ა.-ს ქ. №XX-ში მდებარე თამბაქოს ჯიხურში. დაახლოებით 12 საათისათვის შემოესმა ხმაური, რის გამოც გარეთ გამოვიდა და დაინახა, რომ მისთვის უცნობ პიროვნებას ოთხი ადამიანი სვამდა ა/მანქანაში. ახლო მდებარე მაღაზიიდან ასევე გამოვიდნენ სხვა პიროვნებებიც. მათ იკითხეს რა ხდებოდა და უთხრეს, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. ამის შემდეგ გადაიცივეს ფორმები. პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებული პირი ჩასვეს ავტომანქანაში. მოწმის ჩვენებით, ავტომანქანაში ჩასმამდე პოლიციის თანამშრომლებს რომ რაიმე წაეკითხათ ან ჩხრეკა ჩაეტარებინათ დაინახავდა, ვინაიდან 2-3 მეტრში იდგა. მოწმეს შთაბეჭდილება დარჩა, რომ დაკავებული პირი ითხოვდა შველას.

მოწმე ვ. ყ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს ა.-ს ქ. XX-ში მდებარე საკუთარ მაღაზიაში მენეჯერად, 2015 წლის 21 მაისს დაახლოებით თერთმეტი-თორმეტი საათისათვის შემოესმა ხმამაღალი ყვირილი. მის სახელს იმახდა ვიღაც პიროვნება, რომელიც ხმაზე ვერ იცნო. როდესაც გარეთ გამოვიდა, დაინახა, რომ გ. ც. მიჰყავდა ხუთ-ექვს კაცს. ჩატენეს თუ არ ცდება „მ.-ს“ ფორმის ავტომანქანაში, სადაც დაახლოებით ნახევარ საათზე მეტ ხანს გაჩერდნენ. აღნიშნული პიროვნებები ვერ იცნო, რადგან ჩვეულებრივ ტანსაცმელში იყვნენ. დაკავებულის ა/მანქანაში ჩასმის შემდეგ გადაიცივეს ფორმები. ა/მანქანაში ზუსტად რა ხდებოდა, მან არ იცის, რადგან იგი სისტემატიურად იქ არ იდგა, შედიოდა და გამოდიოდა.

მოწმე ქ. ჩ.-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს ქ. თ., ა.-ს ქ. XX-ში მდებარე ლომბარდში, რომელსაც ჰქონდა სათვალთვალო კამერები. 2015 წლის 21 მაისამდე დაახლოებით ათი დღით ადრე კამერები გამორთული იყო, ვინაიდან პროცესორი იყო დამწვარი. აღნიშნულის თაობაზე მან ასევე განუცხადა პოლიციელებს.

საპროცესო ნორმათა დაცულობა.



სააპელაციო პალატამ, შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა მხარეთა მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, შეფასდა თითოეული მათგანი, საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად.

სამართლებრივი შეფასება:

პალატა ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას გ. ც.-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნობის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული ბრალდება არ ემყარება ეჭვის გამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას. პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომ გ. ც.-ს პირადი ჩხრეკის ოქმში მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოების მიუთითებლობა იწვევს სერიოზულ ეჭვებს, კერძოდ: გ. ც.-ს პირადი ჩხრეკა ჩატარდა პოლიციის თანამშრომელთა ავტომანქანის უკანა სავარძელზე, რა დროსაც შუაში მოთავსებული იყო დაკავებული, ხელბორკილდადებული გ. ც., ხოლო მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ჩაატარეს მისი პირადი ჩხრეკა, რაც არ არის მითითებული ჩხრეკის ოქმში. გარდა ამისა, პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები წინააღმდეგობაშია დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებთან, კერძოდ: პოლიციის თანამშრომლებმა დაკითხვისას განაცხადეს, რომ გ. ც.-ს დაკავებისას იყვნენ სულ სამნი, მაშინ როცა, დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებით დგინდება, რომ იქ შეიკრიბა უამრავი ხალხი. ადგილზე მობილიზებული იყო ბევრი პოლიციის თანამშრომელი. ისინი ერთმანეთს იცნობდნენ და ჰქონდათ ერთმანეთში კომუნიკაცია. ასევე ეჭვს ბადებს მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის გ. დ.-ს ჩვენება და მის მიერ გაცემული ექსპერტის №XXX/XX დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ საექსპერტო კვლევისათვის წარმოდგენილ ნივთმტკიცებაზე (გ. ც.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულ ნივთიერ მტკიცებულებაზე) ვერცხლის და შავი ფერის უსწორო გვერდებიანი ფოლგის ნაგლეჯებზე ორივე მხარეს შესაძლებელია დარჩენილი ყოფილიყო კვლევისათვის ვარგისი ხელის კვალი, თუმცა თითის კვალი არ აღმოჩნდა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ;



ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების არსი თავის თავში გულისხმობს პირის მსჯავრდებას უტყუარი და გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული საკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა;

ამავე კოდექსის 269-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება, გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დაედოს ვარაუდი.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას გ. მ.-ს საქართველოს სსკ-ის 25,181-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნობის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული ბრალდება არ ემყარება ეჭვის გამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას. პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომ საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ჯ. და გ. მ. იყვნენ მეგობრები და მათ აკავშირებდათ ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა, რაც ცნობილი იყო გ. ც.-სათვის. მას შემდეგ, რაც გ. ც.-ს სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა გ. ჯ., იგი დაუკავშირდა გ. მ.-ს და უთხრა, რომ გ. ჯ.-სათვის გადაეცა მისი დანაბარები, კერძოდ, იგი გ. ჯ.-საგან მუქარის ფორმით ითხოვდა მისთვის 10000 ლარის გადაცემას. ამის შემდეგ, სატელეფონო კომუნიკაციისას, გ. მ.-ს თავად დაზარალებული ეკითხება, ხომ არ შეხმიანებია „ჟ.“ (გ. ც.), რის შემდეგაც გ. მ.-მ მას მოუთხრო მასსა და გ. ც.-ს შორის განხორციელებული საუბრის შესახებ. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ფარული ჩანაწერებით ირკვევა, რომ გ. მ.-სა და გ. ჯ.-ს შორის არაერთხელ შედგა სატელეფონო კომუნიკაცია, პირადადაც შეხვდნენ ერთმანეთს, რადროსაც ისინი სხვადასხვა თემებზე საუბრობენ, მათ შორის საუბრობენ გ. ც.-სთან მიმართებაშიც ფულის გადაცემის საკითხზე. ერთ-ერთი საუბრისას გ. მ. დაზარალებულ გ. ჯ.-ს მეგობრულად ურჩევს, რომ ურთიერთობა გაარკვიოს გ. ც.-სთან და მოაგვაროს მასთან სიტუაცია. მისი მხრიდან გ. ჯ.-ს მისამართით არ განხორციელებულა კატეგორიული მოთხოვნა თანხის გადაცემასთან დაკავშირებით, არამედ იგი ურჩევს დაზარალებულს, რომ მოაგვაროს ურთიერთობა გ. ც.-სთან. ამასთან, სატელეფონო კომუნიკაციისას გ. ც.-სთან მიმართებაში საუბარს იწყებს არა გ. მ., არამედ დაზარალებული გ. ჯ., რომელიც გ. მ.-ს ეუბნება, რომ დახვდა „ჟ.-ს“ დარეკილი და არ უპასუხა და სანამ წავიდოდა, არ უნდოდა



ნაწყენი დაეტოვა და დაურეკა, იქნებ მ.-ს რაიმე იდეა ჰქონოდა. სწორედ ამ საუბრის შემდგომ უყვება გ. მ. მასსა და გ. ც.-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის შინაარსს. ერთ-ერთი ფარული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ გ. მ. მეგობრულად ურჩევს დაზარალებულს, მოაგვაროს გ. ც.-სთან დაკავშირებული სიტუაცია. ამდენად, გ. მ.-ს განზრახვა დაეხმაროს გ. ც.-ს გამოძალვის ჩადენაში დადასტურებული არ არის.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ გ. ც.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ზ. ბ.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ გ. ც.-ს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლების თაობაზე, ვინაიდან, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად იქნა დადგენილი, რომ გ. ჯ.-ს დაუკავშირდა გ. ც. და მოსთხოვა გ. ჯ.-ს პირად ანგარიშზე ბიზნეს საქმიანობისთვის დარიცხული 15000 ლარიდან 10000 ლარის მისთვის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით. დაზარალებულის ჩვენებით, ასევე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მასალებით, გამოკვლეული ჩანაწერებითა და კრებებით დგინდება, რომ გ. მ.-ს უკავშირდება პიროვნება, რომელსაც იგი მოიხსენიებს როგორც „ჟ.“, უკავშირდება იმ ტელეფონიდან, რომლითაც სარგებლობდა გ. ც. და გ. მ.-ს ეუბნება, რომ იგი დაუკავშირდეს გ. ჯ.-ს და გადასცეს მისი დანაპირები, რომ თუ მოთხოვნილ თანხას 10000 ლარს მას არ მიუტანდა, მას და მისი ოჯახის წევრებს შეექმნებოდათ საფრთხე. გ. ჯ.-მ მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების რეალური შიში. შესაბამისად, როგორც დაზარალებულის ჩვენებით, ასევე სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ჩანაწერებითა და კრებებით დგინდება გ. ც.-ს მხრიდან გ. ჯ.-სათვის მუქარის ფორმით განხორციელებული გამოძალვის ფაქტი.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ გ. ც. და გ. ჯ. იყვნენ პარტნიორები და გ. ც. ითხოვდა მის კუთვნილ თანხას, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში არ წარმოდგენილა. ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ შპს F. G. ე. გ.-ს დირექტორი და 100% წილის მფლობელია გ. ჯ. აღნიშნული გარემოება ასევე დადასტურებულია წესდებით/პატნიორთა შეთანხმებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის.

ამდენად, მტკიცებულებათა შეფასების შემდგომ პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ გ. ც.-მ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევ პირის მიერ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით; მანვე ჩაიდინა გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის და მისი ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა,



დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით; მანვე, ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2015 წლის ივლისამდე მოქმედი რედაქცია). სასამართლომ დაადგინა, რომ გ. მ.-ს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები:

გ. ც.-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებია ის რომ იგი აღიარებს ბრალდების ორ ეპიზოდს.

გ. ც.-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება მისი ნასამართლობა.

სასჯელისა და სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება:

სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს პიროვნებას და მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გ. ც.-ს დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავეს რესოციალიზაცია.

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხის გადაწყვეტა:

საქართველოს სისხლის სამართლის საქმეთა კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნივთიერი მტკიცებულებები:

- ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული 7 (შვიდი) ცალი CD დისკი და 2 (ორი) ცალი DVD დისკი, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;
- ბრალდებულ გ. მ.-საგან, დაზარალებულ გ. ჯ.-საგან აღებული ხმის და გამოსახულების ნიმუშები, მოწმე გ. გ.-საგან აღებული ხმის ნიმუში 5 (ხუთი) ცალ დისკზე, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;
- 2014 წლის 12 დეკემბრის, 2015 წლის 4 მაისის და 2015 წლის 23 მაისის გ. ც.-ს ბრალდების საქმის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერები 3 (სამი) ცალ დისკზე, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;



- გ. ც.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი №XXXXXX, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამმართველოს;
- გ. ც.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;
- გ. ც.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული 2 (ორი) ცალი პოლიეთილენის ბოთლი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების კვალით, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;
- გ. ც.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, მასში არსებული სიმ-ბარათით, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს გ. ც.-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;
- გ. მ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „ბლექბერის“ ფირმის მობილური ტელეფონი, მასში არსებული სიმ-ბარათით, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს გ. მ.-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 თებერვლის განაჩენი გ. ც.-ს და გ. მ.-ს მიმართ არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო გ. ც.-სათვის დანიშნული სასჯელი არის სამართლიანი. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მთავარი პროკურატურის შსს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიები საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ მ. მ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.



მსჯავრდებულ გ. ც.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ზ. ბ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 თებერვლის განაჩენი დარჩეს უცვლელი.

გ. მ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,181-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდეს.

გ. მ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმდეს. გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა 3000(სამიათასი) ლარის ოდენობით.

გ. ც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდეს.

გ. ც. ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2015 წლის ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და 181-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

- საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 1(ერთი) წლის ვადით;
- საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2015 წლის ივლისამდე მოქმედი რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 2(ორი) წლის ვადით;
- საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3(სამი) წლის ვადით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს ნაწილობრივ და **გ. ც.-ს** დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4(ოთხი) წლის ვადით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი 1(ერთი) წლის ვადით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმოს თბილისის საქალაქო სასამართლოს



სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1(ერთი) წლის ვადით და გ. ც.-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4(ოთხი) წლის ვადით.

გ. ც.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან - 2015 წლის 21 მაისიდან.

გ. ც.-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 3(სამი) წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნივთიერი მტკიცებულებები:

- ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული 7 (შვიდი) ცალი CD დისკი და 2 (ორი) ცალი DVD დისკი, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;
- ბრალდებულ გ. მ.-საგან, დაზარალებულ გ. ჯ.-საგან აღებული ხმის და გამოსახულების ნიმუშები, მოწმე გ. გ.-სგან აღებული ხმის ნიმუში 5 (ხუთი) ცალ დისკზე, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;
- 2014 წლის 12 დეკემბრის, 2015 წლის 4 მაისის და 2015 წლის 23 მაისის გ. ც.-ს ბრალდების საქმის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერები 3 (სამი) ცალ დისკზე, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;
- გ. ც.-ს ბინის ჩხრევისას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი №XXXXXX, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამმართველოს;
- გ. ც.-ს პირადი ჩხრევისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;
- გ. ც.-ს ბინის ჩხრევისას ამოღებული 2 (ორი) ცალი პოლიეთილენის ბოთლი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების კვალით, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ



ბრძოლის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

- გ. ც.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, მასში არსებული სიმ-ბარათით, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს გ. ც.-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

- გ. მ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „ბლექბერის“ ფირმის მობილური ტელეფონი, მასში არსებული სიმ-ბარათით, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს გ. მ.-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

გამართლებულ გ. მ.-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი.

განაჩენი კანონიერ ძალაშია და ექვემდებარება აღსრულებას გამოცხადებისთანავე.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე:

/მ. თეთრაული/

მოსამართლეები:

/ვ. მაჭავარიანი/

/გ. კახეთელიძე/